პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).
ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისთვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ— 10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

159 პარასკევი, 14 ივლისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 14 ივლისი 1922 წ. № 159

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა კომიაჩეიკებს ამა ივლისის 14 პარასკევს

მორიგი ერთიანი პარტიულ დღეს

დასვას დღის წესრიგში შემდეგი საკითხი:

1) კომინტერნის აღმასკომის პლენუმის შედეგები.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.**

ვის იცავენ სოციალ-გამცემლები

როცა რუსეთის მუშათა კლასმა მოინდომა თავის და რევოლუციის უბოროტეს მტრების—ესერების გასამართლება, მსოფლიოს შემთანხმებელმა პარტიებმა და მათმა ბელადებმა უშველებელი განგაში ასტეხეს, რომელიც დღემდეც არ შეწყვეტილა. მათი „რევოლიუციონური სინდისი“ აღშფოთდა, როცა საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა პასუხი მოეთხოვა ამ „კეთილშობილ“ პირებისათვის, რომელნიც ოთხი წლის განმავლობაში შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებდნენ მშრომელთა წინაამდეგ კაპიტალისტების ბატონობის აღსადგენად, იმ პირებისათვის, რომელთა ხელი გასვრილი არის რევოლიუციის ბელადების და ათი ათასობით მუშათა უმანკო სისხლში. მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების პარტიები და მათი ბელადები ყოველ საშუალებით ცდილობდნენ ბოროტ-მოქმედ ესერების გამართლებას და საბჭოთა ხელისუფლების გამტყუნებას, მის გაშავებას საერთაშორისო პროლეტარიატის თვალში.

მაგრამ როცა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მუშათა კლასის საქმისათვის მართლა თავდადებული მებრძოლნი სასტიკ დევნას განიცდიან, ციხეებში არიან გამომწყვდეულნი და საშინელ პირობებში იტანჯებიან, ან ბურისძიებით გაჟღენთილ ბურჟუაზიულ კლასობრივ სასამართლოს მიერ განუკითხავად ისჯებიან, ამ ყვითელ სოციალისტებს ეს კანონიერ და მართებულ მოვლენად მიაჩნიათ, ამაზე ისინი თავს არ იტკივებენ და ამ შემთხვევაში თავისი სიჩუმით და უმოქმედობით ადასტურებენ, სანქციას აძლევენ ბურჟუაზიის მოქმედებას, კიდევ მეტი: ისინი ხშირად თვითონ იღებენ უშუალო მონაწილეობას ჭეშმარიტ რევოლიუციონერების დევნაში, სადაც ამის საშუალება აქვთ.

ამ რამოდენიმე ხნის წინედ გაზეთებში გამოქვეყნებული იყო პროტესტი პომერანიაში (გერმანია) დამწყვდეულ რევოლიუციონერების; ისინი კითხვას იძლეოდენ: სად არიან ისინი, ვინც ხმა მაღლა და თავგამოდებით იცავენ რუს ესერებს? ჩვენ მოვითხოვთ 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებისაგან ჩაერიონ ჩვენი, მუშათა კლასისათვის მებრძოლების საქმეში, ისე მაინც, როგორც ესერების საქმეში, რომელნიც პროლეტარიატის ხელმძღვანელების მკვლელები არიანო.

როგორც ვიცით, გერმანიას განაგებენ მოღალატე სოციალ-დემოკრატები, შეიდემანელები, რომელთაც თვითონ გაგზავნეს ციხეებში ეს რევოლიუციონარები. და, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელები მიმართავდნენ ყვითელ ინტერნაციონალებს არა იმიტომ, რომ იმედი ჰქონდეთ მათი დახმარების, არამედ რათა უფრო ნათელყოთ გამყიდველობა ყვითელ სოციალისტების, რომელნიც პროლეტარიატის მოსისხლე მტრებს—ესერებს იცავენ, ხოლო ამავე დროს საპყრობილეებში ლპობენ ჭეშმარიტ რევოლიუციონერებს.

პომერანელ რევოლიუციონერების ამბავი გამონაკლისი არ არის. საერთოდ ყველგან კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩვენი ამხანაგები, კომუნისტები უკიდურესად არიან დევნილნი, ხოლო ყვითელი სოციალისტები კი ამაზე სდუმან, ან თუ სიტყვას ამოიღებენ, პლატონიური პროტესტით კმაყოფილდებიან, რომელსაც, თვითონ იციან, არავითარი დადებითი შედეგი არ მოყვება, და არც აქვთ სურვილი ასეთი შედეგი მოყვეს.

ამას წინედ პოლონეთში ერთი საყურადღებო პროცესი წარმოიბდა, სახელდობრ კომუნისტ დეპუტატის ამხ. დომბალის გასამართლება. უკანასკნელი რადიოს გადმოცემით, დომბალისათვის 6 წლის კატორღა მიუსჯიათ.

დომბალი ერთი პოპულიალური და თვალსაჩინო ხელმძღვანელია პოლონეთის მუშათა მოძრაობის, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართე ხასიათს ღებულობს და საფრთხეს უმზადებს ამ ქვეყნის ალვირ ახსნილ ბურჟუაზიის ვაკხანალიას. დომბალი, სხვათაშორის, შეუბრალებლად ამხელდა და გმობდა პოლონეთის მებრძოლ—ნაციონალისტურ შლიახტის პროვოკაციულ პოლიტიკას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

პოლონეთის მმართველმა წრეებმა გადასწყვიტეს ბოლო მოეღოთ ასეთი მოუსვენარი და საშიშ მტრისათვის. მათ გამოიგონეს, შესთხზეს სხვა და სხვა გვარი ბრალდება და დომბალი სამართალში მისცეს. შედეგი ვიცით: ბურჟუაზიამ შური იძია მუშათა კლასის ბელადზე და 6 წლის კატორღა გადაუწყვიტა.

აქ საყურადღებოა ვიცოდეთ, თუ რა ზომები მიიღეს შემთანხმებელ ინტერნაციონალების წარმომადგენლებმა ბურჟუაზიის ასეთი აღმაშფოთებელი საქციელის წინააღმდეგ.

ბატონ ვანდერველდემ, მოსკოვში ყოფნის დროს ამხ. ფროსარის და პრუხნიაკის ზეგავლენით, მიმართა თხოვნით თავის პოლონელ თანამოაზრეს, დაშინსკის, აგრეთვე ყოფილ მინისტრს და „სოციალისტს“, რათა მას მოეხდინა გავლენა პოლონეთის მთავრობაზე იმ აზრით, რომ კომუნისტ დეპუტატ დომბალის პროცესში დამცველებს, რომელნიც ეკუთნიან III ინტერნაციონალს, მისცემოდათ ისეთივე რწმუნებები, როგორიც მიიღო თვითონ ვანდერველდემ საბჭოთა მთავრობისაგან ესერების პროცესში. ვანდერველდეს მხრით ასეთი ნაბიჯი იყო ერთი მხრით იძულებითი, მეორე მხრივ ერთგვარი ხერხი შთაბეჭდილების მოსახდენად: შეხედეთ ჩვენ ვიცავთ არა მარტო ესერებს, არამედ კომუნისტებსაცო.

უფრო საგულისხმოა ბ. დაშინსკის პასუხი. ეს პატივცემული „სოციალისტი“ იხსენიებს პოლონეთის რაღაც „უპარტიო“ (?!) სასამართლოს და შემდეგ ამბობ, რომ დომბალს, ალბად, ეყოლება მრავალი და ნიჭიერი ადვოკატებიო. მორჩა და გათავდა. ამით ამ „ვაჟბატონებმა“ „მოიხადეს“ „სოციალისტური“ მოვალეობა.

როცა ჩვენ ვადარებთ ყვითელი ინტერნაციონალების ჯგუფების პოზიციას ესერების საკითხში და ჩვენი დევნილი ამხანაგების საკითხში, ერთად ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება: სოციალ გამცემლები მთელი ძალ-ღონით იცავენ პროლეტარიატის მტრებს და ზურგს უმაგრებენ ბურჟუაზიას მუშათა კლასის დამონებაში და მისი ხელმძღვანელების ალაგმვაში. მხოლოდ საკითხავია, კიდევ ბევრ ხანს მისცემს პროლეტარიატი ბურჟუაზიას და მის ლაქიებს საამისო საშუალებას? რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა, რომელსაც ამ ბოლო ხანებში ადგილი აქვს სხვა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ პროლეტარიატი მალე მოუღებს ბოლოს თავის მტრებს: მალე დადგება დრო, როცა მუშათა კლასი, რომელთაც ჯერ კიდევ ასამართლებს ბურჟუაზია, თვითონ გამოვა მსაჯულის როლში. მაშინ ის სასტიკ პასუხს მოსთხოვს, როგორც მისი პირდაპირ ექსპლოატატორებს, ისე მათ აგენტებს მე-2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალიდან.

თემის და მაზრის აღმასკომების აპარატის გამარტივების შესახებ *)

(შინაგან საქმეთა კომისარიატის პროექტის გამო)

შინაგან საქმეთა კომისარიატს განრახული აქვს თემისა და მაზრის აპარატის გამარტივება, რაც ფრიად საყურადღებოა. ეს საკითხი სადღეისოა. მისი ადრე დაყენება შეუძლებელი იყო, ვინაიდან საჭიროა ერთგვარი გამოცდილება საბჭოთა აღმშენებლობაში, რომლის შემდეგ მხოლოდ ადვილად შეიძლება გამონახვა ნაკლის, აღმოჩენა საბჭოთა აპარატის ამა თუ იმ უარყოფითი მხარეების და ამით ყოველივე დაშვებული შეცდომების გასწორება და მუშაობის საღ ნიადაგზე დაყენება. ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თუ არ ვარგა და მოიკოჭლებს ხელისუფლების ორგანო, ვერ გატარდება ცხოვრებაში ყველა ის, რაც აუცილებელი საჭიროა საბჭოთა სახემლწიფოსთვის.

შინაგან საქმეთა კომისარიატის პროექტს მიზნად აქვს რეორგანიზაციის საშუალებით და აპარატის გამარტივებით მოსპოს ყოველგვარი პარალელიზმი და შექმნას მჭიდრო კავშირი სხვა და სხვა ორგანოებს შორის, ბოლო მოუღოს იმ ადგილობრივ უკიდურეს დეცენტრალიზაციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქამდე და ეხლაც აქვს. ამასთან ერთად პროექტს მხედველობაში აქვს ამ განმარტივებით სახელმწიფო ხარჯების შემცირება.

ამის მიღწევა სასურველია ყველასათვის და მომავალში ჩვენ მუშაობას ძლიერ გაადვილებს, მაგრამ, ამ საკითხს უნდა მიუდგეთ დიდი სიფრთხილით.

შევეხები თვით პროექტის შინაარს. მთელი საფუძველი თემის აპარატისა, პროექტის მიხედვით, ეს სოფლელების რწმუნებულებია, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევს თემის აღმასკომის თავმჯდომარე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ყველასათვის, ვინც იცნობს თემების მუშაობას ცხადია, რომ საჭიროა თითეულ სოფელში იყოს ხელისუფლების წარმომადგენელი. ამ რწმუნებულებს ევალებათ ყველა კანონების ცხოვრებაში გატარება და ამ რიგად ისინი მატარებელნი არიან საბჭოთა ორგანოების ფუნქციებისა. მთელ თავის დროს ისინი ამ მუშაობას უნდა ან დომებდნენ. ამიტომ, ჩემი ფიქრით, პროექტი ცდება, როცა ამბობს, „საბჭოთა რწმუნებულების თანამდებობის უსასყიდლობა“. ეს შეუძლებელი შეიქნება, რადგან რწმუნებული თავის გამოკვებაზე ზრუნვას ვერ მიატოვებს, უსასყიდლოდ ვერ შესძლებს მუშაობას. ამას უნდა დაუმატოთ, რომ სოფლები დაშორებული არიან თემის აღმასკომისაგან ხშირად 10 15 ვერ. მანძილზე და რწმუნებულს უხდება კვირეში ერთჯერ, თუ მეტი არა, ამ მანძილის გავლა. თუ გინდა, რომ ნაყოფიერი იყოს მისი მუშაობა, საჭიროა მათთვის სასყიდელის მიცემა. თუ ვინ მისცემს მათ სასყიდელს, სახელმწიფო თუ ადგილობრივი მცხოვრებნი—ეს სხვა საგნია.

გადავიდეთ მაზრის აღმასკომის აპარატზე. სრულიად მიზანშეწონილია პროექტის მიერ ზოგიერთ განყოფილების გაუქმება და მათ მაგიერ ინსტრუქტორების აპარატის შექმნა. მაგრამ აქავე უნდა აღვნიშნოთ ერთი უკიდურესება. პროექტით დატოვებულია სამი განყოფილება: სამხედრო, საფინანსო და შინაგან მმართველობის. ამ უკანასკნელის ქვე-განყოფილებებათ რჩება მილიციის, კომუნალურის, აქტების ჩამწერის, საინსტრუქტორო და სხვათა შორის შრომის განყოფილებაც, რომლის შინაგან მმართველობის განყოფილების ქვე განყოფილებათ გადაქცევა დაუშვებელია შემდეგი მოსაზრებით:

შრომის განყოფილება თავის ფუნქციებით სხვადება სხვა განყოფილებებისაგან. ამასთან ერთად ამ ბოლო დროს მისი მნიშვნელობა და ფუნქციები გაფართოვდა. მის უმთავრეს ფუნქციებს შეადგენს, არა შრომის უნარიან მცხოვრება აღრიცხვა, როგორც პროექტშია ნაჩვენები, არამედ: 1) შრომის დაცვა, 2) უმუშევრების განაწილება სამუშაოზე, 3) უმუშევრების დაზღვევა, 4) საავადმყოფო კასები და შრომის უნარ დაკარგულების დაზღვევა, 5) შრომის ხელფასის (ტარიფების) მოწესრიგება, 6) შრომის ხარკის ჩატარება, 7) დაქირავებულ და დამქირავებელთა შორის კონფლიქტების გარჩევა, 8) კოლექტიური ხელშეკრულების საკითხის მოგვარება, 9) მომრიგებელი კამერები და შრომის სასამართლოები, 10) ღარიბ მოქალაქეთა დახმარება, 11) გლეხთა შორის ურთიერთ დამხმარე კასების მოწყობა და სხ. შრომის განყოფილება წარმოადგენს ოთხ ორგანიზაციის შეერთებულ ორგანოს (შრომის, პროფკავშირების, დამზღვევ კასის და სოც. უზრუნველყოფის). ის უფრო ახლო დგას პროფესიონალურ კავშირებთან, ვიდრე შინაგან მმართველობასთან, რომლის ქვე-განყოფილებათ პროექტი აქცევს მას. კიდევ მეტი, შრომის განყოფილება—ეს ასე ვთქვათ მეორე სახელმწიფო კონტროლია (მუშ.-გლეხ. ინსპექცია) შრომის კანონების გატარებაში თვალყურის დევნების მხრივ (შრომის ინსპექტორების სახით), ამიტომ შრომის განყოფილების შეერთება შინაგან მმართველობასთან დაუშვებელია. მისი შეერთება ნიშნავს პროფკავშირების გაუქმებას. ამ მოსაზრებით შრომის განყოფილება უნდა დარჩეს ცალკე განყოფილებათ სამაზრო აღმასკომთან.

რამდენად პროექტიდან სჩანს, მისი ავტორი ხელმძღვანელობდა, ჩვენის აზრით, რუსეთის გამოცდილებით და ჩვენი მაზრა გაუთანაბრებია რუსეთის „ვოლოსტისათვის“. ჯერ ერთი, რომ რუსეთის საშუალო „ვოლოსტის“ მცხოვრების რიცხვი შეადგენს 20 ათას, ჩვენი მაზრები კი შეიცავენ— 150—100 ათას, ლეჩხუმის და ზოგიერთ მაზრების გამონაკლისით, სადაც მცხოვრებლების რიცხვი აღწევს 60 ათას, და მეორე, რუსეთის „ვოლოსტებში“ შრომის განყოფილება დატოვებულია ცალკე და არ არის გაერთიანებული შინაგან მმართველობასთან. (იხ წიგნაკი: რუს. ც. ა. კ პრეზ. დადგენილება დაწ. შტ. გადას. შესახებ)

ჩემი ფიქრით, ზემოდ მოყვანილ კორექტივები შეტანილ უნდა იქმნას აუცილებლად ამ პროექტში, საერთოდ მისი დაწვრილებით გამოსინჯვას და შესწორებას ყველა ამ საქმით დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად, მოითხოვს ამ საკითხის მნიშვნელობა.

ს. გოდაბრელიძე.

---

*) სადისკუსიო.

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

გერმანიის ამბები

კანონ-პროექტი რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ.

ნაუენი 12 ივლისი (რადიო). რესპუბლიკის დაცვის კანონ-პროექტის მეორე წაკითხვის დროს ბავარიის პრემიერმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა ხედავს დაბრკოლებას ამ კანონ პროექტის მიღებისათვის. ამის გამო და პოლიტიკურ პარტიათა შორის გაღრმავებულ გათიშვის გამო მდგომარეობა მეტად გართულებულია.

ბორდო 12 ივნისი (რადიო). რეიხსტაგმა გადასცა იურიდიულ კომისიას სასწრაფოდ განსახილველად კანონპროექტი მოხელეების ვალდებულებათა შესახებ რესპუბლიკის დაცვის დროს.

ლანდტაგმა რესპუბლიკის დაცვის კანონ პროექტის განხილვა გადასდო 27 აგვისტომდე.

ამნისტია.

ბორდო 12 ივლისი (რადიო). პრუსიის ლანდტაგმა მიიღო კანონპროექტი ამნისტიის შესახებ.

ამერიკელი ფინანსისტები გერმანიაში.

ნაუენი. 12 ივლისი (რადიო). ჰამბურგის გაზ. „ფრემდენბლატი“ იტყობინება, **რომ ამერიკელი ფინანსისტები ადგებიან იმ აზრს, რომ გერმანიის კოალიციონურ მთავრობის ხასიათის შეცვლა, მის შემადგენლობაში დამოუკიდებელ სოციალისტების დაშვებით, იქნება დამაბრკოლებელი სეხხის ყველა პროექტების განხორციელებისათვის.**

გერმანიის მარკის კურსის დაცემა.

ნაუენი 12 ივლისი (რადიო). გაზ. „ობსერვერის აზრით გერმანიის მარკის კურსის დაცემა არ შეიძლება მიეწეროს ხელოვნურ მახინაციებს, რომელსაც მიზნად აქვს ვალდებულებათა შესრულების ვადის გადადება.

გაზეთი მარკის კურსის დაცემაში დამნაშავედ სთვლის არა დებიტორებს, არამედ კრედიტორებს, რომელთაც გერმანია ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მიიყვანეს მის დღევანდელ მდგომარეობამდე. კრედიტორებს უნდა სცოდნოდათ, რომ მხოლოდ ნდობის ნიადაგზე შეიძლება დამყარდეს ურთიერთობა ნაციათა შორის, ისე როგორც ცალკე პირთა შორის.

რატენაუს მოკვლის გამო.

ნაუენი. 12 ივლისი (რადიო). გერმანიის პოლიცია კვალ და კვალ სდევნის რატენაუს მკვლელებს და იმედოვნებს შეიპყრობს ყველანი ამ რამდენიმე დღეში.

მორატორიუმი.

ნაუენი 12 ივლისი (რადიო) გაზ „პტიპარიზიენის“ ცნობით საკონტრიბუციო კომისია გადასდებს თავის პასუხს გერმანიის მორატორიუმის შესახებ მანამ, სანამ გარანტიათა კომისია არ წარმოადგენს თავის მოხსენებას. გაზეთი ფიქრობს, რომ საკონტრიბუციო კომისია დაჟინებით მოსთხოვს გერმანიას ივლისის ნაწილის გადახდას.

ოპპელნში.

ბორდო 12 ივლისი (რადიო). გერმანიის ხელისუფლება შეუდგა ქალაქ ოპპელნის მართვა-გამგეობას.

ტიპოგრაფიის მუშების გაფიცვა.

ბორდო 12 ივლისი (რადიო). ტიპოგრაფიის მუშების გაფიცვა ბერლინში დამთავრდა.

ჰააგის კონფერენცია

ამხ. ლიტვინოვის მემორანდუმი რუსეთისათვის კრედიტების მიცემის შესახებ. უცხოელების აზრი მემორანდუმის შესახებ. ამხ. სოკოლნიკოვის სიტყვა

ჰააგა. 30 ივნისი. (რუსეთის დელეგაციის პრეს-ბიუროს კაბლოგრამა). მოკავშირეთა დელეგაციები დიდის ინტერესით მოელოდნენ კრედიტების კომისიის დღევანდელ სხდომას, რომელზედაც რუსეთის დელეგაცია დაპირებისამებრ წარადგენდა მემორანდუმს იმ კრედიტების შესახებ, რომელსაც რუსეთი მოითხოვდა მრეწველობის აღსადგენათ. მათ მოლოდინი არ გამტყუნებიათ. **ლიტვინოვის მიერ წარდგენილი მემორანდუმი დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი და მან ხავსებით ხელსაყრელი შთაბეჭდილება დასტოვა.** აუცილებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა მემორანდუმში გამოხატულია 3 მილიარდი 224 მილიონი მანეთით ოქროთი. ამ საერთო ჯამიდან ტრანსპორტის აღსადგენად ნაანგარიშევია 1 მილიარდი 50 მილიონი მანეთი. მრეწველობის სხვადასხვა დარგის აღსადგენათ 750 მილიონი მანეთი, მიწად-მოქმედების საჭიროებისათვის 904 მილიონი მანეთი და დასასრულ საბანკო სისტემის აღსადგენათ და მანეთის სტაბილიზაციისათვის 520 მილიონი მანეთი. ლიტვინოვს ამ ციფრებთან ერთად მოყავდა დეტალური განმარტება, რომლის დროსაც ის განსაკუთრებულად ეხებოდა მრეწველობის სხვადასხვა დარგს, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეს კრედიტები უნდა მიეცეს უშუალოდ სახელმწიფოს და რომ აქ წარმოდგენილი ციფრები წარმოადგენენ საჭირო თანხების მინიმუმს.

მემორანდუმის მოსმენის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე ავეცანამ, კმაყოფილება გამოსთქვა ამ ცნობების შესახებ და მასთან აღნიშნა ისიც, რომ მოკავშირეთა დელეგაციებს სურთ მიიღონ კიდევ ზოგიერთი დამატებითი განმარტებანი. ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა მიმართეს ლიტვინოვს შემდეგი კითხვებით: მიიღებს თუ არა თვითონ რუსეთის სახელმწიფო მონაწილეობას მრეწველობის აღდგენაში და თუ მიიღებს რაგვარათ, ისარგებლეს თუ არა ამ კრედიტებით კერძო მრეწველობა და უცხოელი კონცესიონერები; უმთავრესად რუსეთის რომელ რაიონებში დაიწყება მრეწველობის ასაღორძინებელი მუშაობა; და დასასრულ, რომელი სისტემით იქნება დახარჯული კრედიტები, მე 4 ჯგუფში აღნიშნულნი. **ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატების სიტყვებს ჰქონდათ** განსაკუთრებულად **საქმიანი** ხასიათი და ამიტომ რაღაც მკაცრი დისონანსათ გაისმა ბელგიის დელეგაციის სიტყვა. ყალბი პათოსითა და ფრანგი ორატორის ჭეშმარიტი ჩვეულებრივი მანერებით მან განაცხადა, თუ რუსეთი ითხოვს ფულებს, მან უნდა მოგვცეს დეტალური ცნობები, რომ მას არ შეუძლია დაწყნარებულად ილაპარაკოს ოდესღაც აყვავებულ რუსეთის მრეწველობის შესახებ, რომლის აღსადგენათაც ეხლა საჭიროა ამოდენა თანხები. ლიტვინოვმა თავის საპასუხო სიტყვაში, ადგილად გააკარწყლა რა ბელგიელის უტაქტო გამოსვლა, აღნიშნა, რომ მას შეუძლია ძალიან ვრცლათა და დეტალურად გააშუქოს ის მიზნები, **რომელთაც რუსეთის მრეწველობა მიიყვანეს დღევანდელ მდგომარეობამდის, მაგრამ ფიქრობს, რომ ბელგიელისათვის არ იქნებოდა სასიამოვნო ამ მიზეზების აქ აღნიშვნა. საკმარისია მოკლედ აღვნიშნოთ, განაცხადა ლიტვინოვმა, რომ ის ზარალი, რომელიც მიაყენა რუსეთის სახალხო მეურნეობის ინტერვენციებმა—უდრის 39—50 მილიარდ მანეთს.** ბელგიელი თავის სიტყვაში, სხვათა შორის, გაკვირვებული იყო იმითაც, თუ რუსეთის მთავრობა რატომ არ ითხოვს კრედიტებს პოლიციისათვის „რომლის არსებობაც წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას მრეწველობის ნორმალური განვითარებისათვის“. ლიტვინოვმა დაამშვიდა იგი და განუცხადა, რომ პოლიციის შესახებ ხარჯებს საბჭოთა მთავრობა ღებულობს თავის თავზე. შემდეგ ლიტვინოვმა გასცა რა პასუხი ინგლისელი და ფრანგი დელეგაციების მიერ დასმულ კითხვებზე, სიტყვა გადასცა ამხ. სოკოლნიკოვს.

სიკოლნიკოვი დეტალურად შეჩერდა კრედიტების მეოთხე ჯგუფზე და აღნიშნა, რომ რუსეთში მტკიცე ფინანსიური მდგომარეობის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა ევროპისათვისაც. **ტყუილად ამბობენ,** განაცხადა სოკოლნიკოვმა, **თითქოს მხოლოდ რუსეთი თხოულობდეს ფულებს ევროპისაგან. ევროპა თვით მოითხოვს რუსეთისაგან ფულებს—ვალებისა და პროცენტების გადახდას. მაგრამ დაე ევროპამ იცოდეს, დაათავა თავისი სიტყვა სოკოლნიკოვმა, რამაც ერთგვარი ამოძრავება გამოიწვია დარბაზში,—რომ რუსეთს შეეძლება ექნება გადაიხადოს თავისი ვალები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიღებს საჭირო კრედიტებს.**

ამ განმარტებათა მოსმენის შემდეგ, ინგლისელმა დელეგატმა მოუწოდა კრებას, რომლის დროსაც ის ნათლად მიუთითებდა ბელგიელზე, არ აყვენ ემოციებს, შეეხონ საკითხს საქმიანი თვალსაზრისით და გამოსთქვა რა სრული კმაყოფილება რუსეთის დელეგაციის მიერ წარმოდგენილ განმარტებების შესახებ, წინადადება შეიტანა სხდომის დახურვის შესახებ, რათა შესაძლებელი გამხდარიყო უფრო დაწვრილებით განხილვა, ერთმანეთს შორის, წარმოდგენილი ინფორმაციისა. თავმჯდომარემ მადლობა გადუხადა რა რუსეთის დელეგაციას ასეთი დაწვრილებითი და საკმარისი განმარტებების წარმოდგენისათვის, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ინგლისელმა მდივანმა, რომელიც აძლევდა პრესას ცნობებს ხსენებული სხდომის შესახებ, ერთგვარად ირონიულად მოიხსენია ბელგიელის გამოსვლა.

კერძო საკუთრების კომისიის სხდომა. რუსეთის დელეგაციისათვის ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნა. ლიტვინოვის პასუხი კაპიტალისტების ზრახვები.

ჰააგა: 29 ივნისი. (რუსეთის დელეგაციის პრეს ბიუროს კაბლოგრამა). კერძო საკუთრების კომისიის დღევანდელი პირველი სხდომა არ ჩატარებულა ისე მშვიდათ, როგორც სხვა ქვე კომისიების სხდომები. სხდომის დასაწყისშივე **ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ კონცესიების გაცემის საკითხის გადაწყვეტა რუსეთის მთავრობას სრულებით არა აქვს განზრახული, სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადებულ მამულებზე უცხოელების თითქოს არსებული უფლებების მიხედვით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებისა და მეურნეობის აღორძინების საჭიროების მიხედვით.** სხდომის თავმჯდომარე, ინგლისელი ლოიდ-გრიმი საკმარისად წყნარად შეხვდა ლიტვინოვის განცხადებას და აღნიშნა, რომ უცხოელ კაპიტალისათვის სრულებით არ არის საინტერესო რა მოტივებით ხელმძღვანელობს რუსეთის მთავრობა. ფრანგი ლაპრადული უფრო ნერვიულად შეეხო ლიტვინოვის განცხადებას და მკაცრ რეპლიკებში აღნიშნა, რომ თუ რუსეთის დელეგაციას განზრახვა აქვს წამოაყენოს კონფერენციაზე პრინციპიალური საკითხები, მაშინ ფრანგების დარჩენა კონფერენციაზე შეუძლებელი გახდება, რადგანაც ჰააგის მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული განხილვის ფარგლებში. ამის საპასუხოდ ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ მას სრულებით არა აქვს განზრახვა წამოაყენოს აქ პრინციპიალური საკითხები და რომ მის განცხადებას აქვს მხოლოდ ინფორმაციის ხასიათი, რაიც მისი აზრით საფუძველია მომავალი მუშაობისათვის. ამ განცხადებით ეს ინციდენტი ამოწურული იქნა.

არსებითად ეს სხდომა ძალიან ცოტათი განსხვავდებოდა ვალების კომისიის გუშინდელ სხდომიდან. რუსეთის დელეგაციას ისევ წარუდგინეს მუშაობის პროგრამა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ **რუსეთის დელეგაციამ უნდა წარადგინოს დაწვრილებითი ინფორმაცია** კერძო საკუთრების დაბრუნების ან ნაციონალიზაციით ჩამორთმეულ მიწების კომპენსაციის საკითხის შესახებ. ეს ინფორმაცია, წინადადება იყო მოცემული, უნდა მოგვცა სამ ჯგუფათ: პირველ ჯგუფში შედის კერძო საკუთრება ინდუსტრიალურ-კომერციული ხასიათისა; მეორეში—უძრავი საკუთრება და მესამეში—საკუთრების დანარჩენი სხვადასხვა ფორმები. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან: მექანიკური და მანქანების დამამზადებელი მრეწველობა, საქსოვი, ნავთის, ქვანახშირის, ტყავის, ცემენტის და თამბაქოს მრეწველობანი, შემდეგ —შაქრის, საკვები საგნების წარმოება, საზოგადოებრივი მოხმარებითი წარმოებანი, სავაჭრო წარმოებანი, მეორე ჯგუფში შედის დასამუშავებელი მიწები, სახლები, შენობები და ტყეები და დასასრულ მესამე ჯგუფს ეკუთვნიან სავაჭრო და სხვა კერძო ვალები. ლიტვინოვის შეკითხვაზე, სახელდობრ როგორი ხასიათის ინფორმაცია სურს მიიღოს კომისიამ ამ სამივე ჯგუფის შესახებ, თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ის ფიქრობს, რომ უკანვე დაბრუნების ან კომპენსაციის შესაძლებლობის საკითხის განხილვა მიმდინარეობდეს ამ პროგრამის ფარგლებში. ასე მაგალითად, სასურველია, რომ პირველად გარჩეული იყოს საკითხი მექანიკურისა და მანქანების დამამზადებელ მრეწველობის შესახებ და რომ გამორკვეულ იქნეს თუ რომელი წარმოების გაცემას ფიქრობს კონცესიით ან იჯარით საბჭოთა მთავრობა ამ მრეწველობის დარგიდან და სხვ. და ასე ყველა ჯგუფების მიხედვით, **ლიტვინოვმა მაშინ განაცხადა, რომ რუსეთის დელეგაციას თავის მხრივ სურს მიიღოს ინფორმაცია ყველა კერძო კრედიტორების რუსეთისადმი პრეტენზიების შესახებ,** თანახმად ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციისა და ისე რომ ეს პრეტენზიები დაყოფილი იყვეს სახელმწიფოთა მიხედვით თავმჯდომარე სცდილობდა გვერდი აეხვია ამ მოთხოვნილებისათვის და აღნიშნავდა, რომ ასეთი ინფორმაციის შეკრება დიდ სიძნელეს წარმოადგენს და რომ ეს წაგვართმევს დიდ დროს და სხვ. მაგრამ ლიტვინოვმა დაჟინებით მოითხოვა, რომ რამდენადაც რუსეთი იძლევა ინფორმაციას, მასაც აქვს უფლება მოითხოვოს იგივე და კერძო საკუთრების საკითხის გადასაწყვეტად რუსეთისთვის საჭიროა ინფორმაცია პრეტენზიების საერთო ჯამის შესახებ და შემდეგ თვითეული ამ პრეტენზიების დაწვრილებით და დეტალურათ გაცნობა-შესწავლა. ეს ძალიან ადვილი საქმეა.—ამბობს ლიტვინოვი, რადგანაც ყველა ქვეყნებში არსებობს რუსეთის კრედიტორების საზოგადოება, რომელთაც უკვე შეკრებილი აქვთ ეს ინფორმაცია, ლიტვინოვმა ამას ისიც დაუმატა, **რომ ინფორმაციის მოთხოვა სრულებითაც არ მოასწავებს ამ პრეტენზიების ცნობის თანხმობას. თუმცა უგულოდ, მიგრამ ეს წინადადება მაინც იქმნა მიღებული.** და კერძო საკუთრების კომისიის შემდეგ სხდომაზე მოხდება ინფორმაციების გაცვლა. ამ რიგათ მთავარი შედეგი სამივე კომისიის პირველი სამი სხდომისა მდგომარეობს იმაში, რომ ორივე მხარე დათანხმდა ინფორმაციების გაცვლაზე და შეთანხმდენ შემდეგი მუშაობის მეთოდებში. უკვე ახლაც შეიძლება იმის თქმა, რომ შეეცდებიან რუსეთში კომისიის გაგზავნას მიღებულ ინფორმაციის სიმართლის გამოსარკვევად. ამავ დროს კი კონფერენციის კულუარებში დაინტერესებულნი არიან მხოლოდ ერთი საკითხით დაიწყება თუ არა, როდის და როგორი სახით კერძო მოლაპარაკებანი რომელიმე კაპიტალისტური ჯგუფებისა რუსეთის დელეგაციასთან.

საქართველოს ... ბიბლიოთეკა

გერმანიის კაბინეტის კონსტრუქცია.

ბორდო. 12 ივლისი (რადიო). მეუმრავლესეთა სოციალისტები საბოლოოდ წავიდნენ მემარჯვენეთა პარტიასთან თანამშრომლობის წინააღმდეგ და ფიქრობენ ითანამშრომლონ დამოუკიდებელ სოციალისტებთან.

ბერლინი

კრაუდენი. 12 ივლისი (რადიო). გაზ. „ტანის" ინგლისელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ მბეჭდავთა გაფიცვის და რეიხსბანკის მიერ უცხოეთის ფულის მარკის მსხვილ კუპიურებზე არ დახურდავების გამო, ბერლინში ადგილი ქონდა ასეთ სცენებს: ამერიკელი და ინგლისელი მოგზაურები, რომელნიც თავის ფულებს სთვლიდენ მარკებზე (20 მარკიანი კუპიურზე) დადიოდენ ქუჩებში მუშების თანხლებით, რომელთაც მოქონდათ საკრედიტო ბილეთების მთელი ტვირთი.

კილაში.

კრაუდენი. 12 ივლისი (რადიო). საზღვაო არსენალ კილაში, სადაც ინახება დიდძალი იარაღი, აღმოჩენილია 46 ტყვიისმფრქვეველი უცნობ კონსტრუქციისა, რომელიც არც არსად არის ჩაწერილი და ვერც ინგლისის საზღვაო ხელისუფლება იცნობს.

ჰააგის კონფერენცია

ბორდო. 12 ივლისი (რადიო). „ტანი"-ს ცნობებით, 12 ივლისს უნდა შემდგარიყო კერძო საკუთრების და კრედიტების კომისიების სხდომა, რუსეთის წარმომადგენლებთან ერთად. ამ სხდომებზე უპირველეს ყოვლისა უნდა გაერკვიათ საკითხი: განზრახული აქვს თუ არა საბჭოთა მთავრობას იცნოს ყოფილ მესაკუთრეების უფლებები.

ესერების პროცესი

ესერების სამხედრო მუშაობა

ესერები და კრონშტადტის აჯანყება.

მოსკოვი. 13 ივლისი (რადიო) 12 ივლისის დილის სხდომაზე აქვეყნებენ დოკუმენტებს, საიდანაც საბოლოოდ მტკიცდება ესერების კავშირი კრონშტადტის აჯანყებულებთან ჩერნოვმა რეველიდან მიმართა კრონშტადტის აჯანყებულებს რადიოთი, უცხადებდა რა სრულ სოლიდარობას მატროსებს და წინადადებას აძლევდა ჯარებითა და იარაღით დახმარებისას. რადიოში ჩერნოვი აცხადებს თანხმობას პირადათ კრონშტადტში ჩასვლისას და თავის თავს აძლევდა აჯანყებულთა განკარგულებაში. ამასთან ერთად საზღვარ გარეთ მყოფმა ესერების პარტიის წარმომადგენლებმა მისალმების დეპეშა გაუგზავნეს კრონშტადტს, რომელშიც ისინი დახმარებას პირდებოდენ აჯანყებულებს მათ განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საშვალებით ხალხის ხელისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

ბრალდებული გოცი აცხადებს, რომ არც პარტიის ცეკას და არც ერთ პარტიულ ორგანიზაციას კრონშტადტის აჯანყების მოწყობაში მონაწილეობა არ მიუღია. ესერების პარტიის პეტროგრადის ორგანიზაციამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიც იგი მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლებას დათმობის გზაზე წასულიყო. პეტროგრადის ორგანიზაცია ფიქრობდა, რომ პეტროგრადისა და მოსკოვის პროლეტარიატის ზეგავლენის საშვალებით, აიძულებდა საბჭოთა ხელისუფლებას დათანხმებულიყო კონფლიქტის მშვიდობიან ლიკვიდაციაზე. გოცი ირწმუნება, რომ კრონშტადტის აჯანყება მოხდა მოულოდნელად თვითონ ესერებისათვის, რომელნიც აჯანყების მოწყობაში მონაწილეობას არ იღებდენ და ამიტომ ამაშიც პასუხის მგებელნი არ არიან.

თავმჯდომარე პიატაკოვი აცხადებს, რომ ჩერნოვი თავის დეპეშაში აფრთხილებდა აჯანყებულებს არავითარი მოლაპარაკება არ დაეწყოთ საბჭოთა მთავრობასთან, რაც ეწინააღმდეგება განცხადებას.

გოცი აღნიშნავს, რომ ჩერნოვი აცხადებდა თითქოს საბჭოთა ხელისუფლება არა გულწრფელად აწარმოებდა მოლაპარაკებას და ბოლოს უმატებს, რომ ცეკა სრულებით ეთანხმება ჩერნოვის დეპეშას.

კრილენკოსა და პიატაკოვის შეკითხვებზე გოცი უპასუხებს, რომ ცეკა უყურებდა თავისუფლად არჩეულ საბჭოების ლოზუნგს ისე, როგორც ხალხის ხელისუფლებამდე გადასასვლელ საშვალებას, რომ ეს საბჭოები მიგვიყვანდა დამფუძნებელ კრებამდე.

ესერ მახინის წერილი.

კრილენკოს მოთხოვნილების თანახმად აქვეყნებენ რეველიდან ესერ მახინის წერილს პარიზის ადმინისტრატიული ცენტრის სახელზე გაგზავნილს. ამ წერილში ნათქვამია, რომ მოწყობილია ცეკას ბიურო, მოსკოვში მთელი ცეკას დაშლის შემდეგ. ბიურომ გაგზავნა პსკოვში თავის კაცები, რომელსაც კავშირი უნდა გაება რეველს ესერების ჯგუფთან, რომელიც ჩერნოვის მეთაურობით ხელმძღვანელობდა კრონშტადტის აჯანყებას.

ბრალდებულები აცხადებენ, რომ ისინი ამ დროს ისხდნენ ციხეში და მახინის წერილის შესახებ მათ არაფერი არ იციან.

პარიზის დამფუძნებელი კრება

აქვეყნებენ დოკუმენტებს, რომელიც ახასიათებს ესერების დამოკიდებულებას ეგრეთ წოდებულ პარიზის დამფუძნებელ კრებასთან, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრები, კადეტები, ოქტიაბრისტები და სახალხო სოციალისტები. ესერების პარტიის ცეკამ გაიგო, რომ ესერები შედიან პარიზის დამფუძნებელ კრებაში და ურჩია მათ იქიდან წასვლა.

ჩერნოვის წერილი

ამის საპასუხოთ ჩერნოვმა გამოგზავნა წერილი, რომელშიც იგი ამართლებს პარიზელ ესერების დამფუძნებელი კრების კომიტეტში შესვლას იმით, რომ საჭიროა უპარტიო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც გააერთიანებდა დამფუძნებელი კრების საზღვარგარეთ მყოფ ყველა წევრებს იმისათვის, რომ უპარტიო ორგანიზაციის სახელით მიეღოთ ჩეხო-სლოვაკელების ხელში მყოფი თანხები. ამ თანხების მისაღებათ ცეკას წევრმა ჩერნოვმა დაარღვია მე-9 ყრილობის დადგენილება და შევიდა კოალიციაში ბურჟუაზიულ პარტიებთან.

ჩერნოვის წერილის გამო კრილენკო უსვამს ბრალდებულებს მთელ რიგ კითხვებისას, სურს რა გამოარკვიოს მათი დამოკიდებულება ჩერნოვის მოღვაწეობისადმი. ბრალდებულებს არ სურთ ილაპარაკონ ჩერნოვის მოღვაწეობის შესახებ. მიუხედავათ პიატაკოვისა და ლუნაჩარსკის განცხადებისა, რომ პირდაპირ პასუხს ამ კითხვაზე აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა, ტიმოფეევი, რაკოვი და გენდელმანი კატეგორიულ უარზე არიან, ეთქვათ რაიმე პარტიის ცეკას ჩერნოვის საზღვარ გარეთის მოქმედებასთან დამოკიდებულების შესახებ. ზოგიერთ დამატებითი დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ, ტრიბუნალი ადგენს იცნოს პროცესის პირველი პერიოდი დამთავრებულად და გადადის ესერების პარტიის ტერორისტული მოქმედების განხილვაზე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

შაქრის ჭარხლის კულტურა.

მოსკოვი. 4 ივლისი. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ წარმოდგენილი დეკრეტის პროექტი, შაქრის ჭარხლის კულტურის გასაფართოვებლათ და განსავითარებლად ღონისძიებათა შესახებ: ამ დეკრეტის ძალით, ჭარხლის შაქრის ქარხნები აწყობენ საჭირო ნედლი მასალის წარმოებას სამეურნეო საფუძვლებზე. ამ დეკრეტში არის მეტად მნიშვნელოვანი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს შაქრის ჭარხლის მოსავლის სასურსათო გადასახადისაგან განთავისუფლებას.

ოქტომბრის რევოლუციის მე-5 წლის თავის გამო

მოსკოვი. 4 ივლისი სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა სახალხო კომისარიატებს არა უგვიანეს 1 სექტემბრისა წარმოადგინონ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში მათი მოღვაწეობის ანგარიშები ამ ხუთი წლის განმავლობაში. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სეკრეტარიატს წინადადება მიეცა შეადგინოს სარედაქციო კომისია და მიიღოს ზომები საიუბილეო კრებულის გამოცემის ტეხნიკურად განხორციელებისათვის.

ძველი ესერების მოწოდება.

მოსკოვი 13 ივლისი (რადიო) ძველ ესერების 17 აქტიურმა მუშაკებმა, რომელნიც შედიან ესერების პარტიის ორგანიზაციაში, გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც აცხადებენ: „ჩვენ ესერების პარტიის ურალის ორგანიზაციის ძველ აქტიურ წევრთა ერთი ჯგუფი, გავეცანით რა ჯგუფის წარმომადგენლის ტიმოფეევის დეკლარაციას, რომელიც წაკითხულ იქნა უმაღლეს ტრიბუნალის სასამართლოში, საჭიროთ ვსთვლით აშკარათ განვაცხადოთ, რომ ჩვენც გვიდევს ბრალი პარტიის 1917—1918 წლების გამოსვლებში და მზად ვართ ჩვენ ყოფილ ხელმძღვანელებთან ერთად ვიკისროთ პასუხისმგებლობა. 1918 წლის დამლევს ზლატოუსტის ორგანიზაციამ ჩასთვალა რა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა დანაშაულად წარუდგინა ცეკას ულტიმატიური განცხადება უფაში, საბჭოთა ხელისუფლებასთან შეიარაღებულ ბრძოლის შეწყვეტის აუცილებლობის შესახებ, რაც ცეკამ უყურადღებოთ დასტოვა. ნამდვილ საზოგადოებრივ აზრის გამოსარკვევად ესერების პარტიის შესახებ, ჩვენ ვსთვლით აუცილებლად, ესერების პარტიის ძველი წევრების სრულიად რუსეთის ლეგალურ ყრილობის მოწვევას, პარტიის ლიკვიდაციის საკითხის შესახებ, ვინაიდან ჩვენის ღრმა რწმენით, ძველ ესერების უმრავლესობა მომხრეა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა რესპუბლიკის მეურნეობის აღდგენისა და მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნისათვის. ეს მოწოდება დათარიღებულია 1922 წლ. 26 ივნისით.

მოსავლის პირი.

მოსკოვი. 13 ივლისი (რადიო). იაროსლავის გუბერნიაში წვიმების გამო მოსავალს კარგი პირი უჩანს. ბალახის მოსავალი კარგია.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 13 ივლ. (რადიო) ლიდერის მალაროები სემიპალატინსკში, რომელიც ამ 5 წლის განმავლობაში მიყრუებული იყო, გამოცოცხლდა. დაიწყო მოქმედება ფაბრიკამ. მუშაობას შეუდგა ხელახლად აშენებული ელექტრონის ქარხანა.

— იაროსლავში დამთავრდა მახორკის ფაბრიკის რემონტი, რომელიც დანგრეული იყო 1919 წელში. ფაბრიკის მოწყობილება აკმაყოფილებს მეხანიზაციის ყველა მოთხოვნილებებს.

საქონლის გატანა საზღვარ გარედ.

მოსკოვი, 13 ივლისი (რადიო). ნოვგოროდის საგუბერნიო ვაჭრობის კომიტეტმა დატვირთა პეტროგრადის ნავთსადგურში მესამე გემი, რომელიც მიდის გერმანიაში.

ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობა.

მოსკოვი, 13 ივლისი (რადიო). ნიჟნი ნოვგოროდის სამაზრო კომიტეტმა მიიღო ცნობა, თურქესტანიდან ბაზრობაზე 108 ვაგონი სხვადასხვა საქონლის გამოგზავნის შესახებ.

უკანასკნელ ხანებში გაიზარდა მოთხოვნილება ბინებზე ტრესტების, კოოპერატივების და კერძო ფირმების მხრივ. გაცემულ სავაჭრო სადგომების 50 პროცენტი ხვდება კერძო ვაჭრობას.

საქონლის გაცვლა-გამოცვლა,

მოსკოვი, 14 ივლისი (რადიო). იტალიის და ინგლისის გემებმა მოიტანეს ფეოდოსიაში 7150 ტონი ტვირთი დონის და მოსკოვის მეტალურგიის ნაწარმოებზე გადასაცვლელად.

კაპიტალიზმის სამეფოებში

რატომ მოკლეს ჟორესი.

ნაუენი, 12 ივლისი (რადიო). საფრანგეთის მწერალმა გუტლენუარ დე ტურიმ გამოაქვეყნა წიგნი „ჟორესი და ომის პარტია", რომელშიდაც ავტორი ოფიციალური დოკუმენტებით ხატავს ჟორესის ფანატიკოს შოვინისტების მიერ მოკვლის სურათს. ტური აღნიშნავს, რომ სტატს-სეკრეტარმა ფერიმ ჟორესის მოკვლის ერთი დღით წინ, ჟორესის განცხადებაზე, რომ სურს თუ არა მას განაგრძოს ოპოზიცია უპასუხა მას: „თქვენ ასე შორს ვერ შესძლებთ წასვლას თქვენ მოგკლავენ საფარიდან".

ჰაერში ფრენა.

ბორდო, 12 ივლისი (რადიო). პარიზში გაიხსნა ჰაერში ფრენის საერთაშორისო კომისიის მუშაობა, ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილების თანახმად.

ახლო აღმოსავლეთის საკითხი.

ნაუენი. 12 ივლისი (რადიო). „დეილი ხრონიკლ"-ის ცნობებით, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის შორის მოხდა შეთანხმება ახლო აღმოსავლეთის საკითხის უმთავრეს მუხლებში და იტალიასთან ერთად მოითხოვენ მომავალში, რომ საბერძნეთმა და ოსმალეთმა მიიღონ მონაწილეობა სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც იქნება მოწვეული აგვისტოში.

ტუნისის ბეი.

ნაუენი. 12 ივლისი (რადიო). გარდაიცვალა ტუნისის ბეი, მემკვიდრეთ ითვლება მისი ძმის წული მახმედ-ელგედახი.

სამხრეთ-სლავია და ვენგრია.

ბორდო. 12 ივლისი (რადიო). ვენგრიიდან გამოასახლეს მრავალი სამხრეთ-სლაველების ოჯახები. ბელგრადის მთავრობამ დაადგინა, თავის მხრით, გაასახლოს სამხრეთ სლავიიდან 250 მადიარების ოჯახები.

არგენტინა და იტალია.

ბორდო. 12 ივლისი (რადიო). საზეიმო მიღების დროს, რომელიც გაიმართა არგენტინის პრეზიდენტის ალვეარის პატივსაცემად, იტალიის მეფემ გამოსთქვა იტალიის და არგენტინის მჭიდრო დაახლოვების სურვილი, რადგან ეს სახელმწიფოები ახლო იდგნენ ერთი მეორესთან უძველეს დროიდანაც.

პრეზიდენტმა ალვეარმა საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ ეს წარმოადგენს არგენტინელების დიდიხნის სურვილს.

პრეზინდენტი ალვეარი მიიღო პაპამ ვატიკანში.

ამერიკის მემალაროების შორის.

ბორდო. 12 ივლისი (რადიო) პრეზიდენტმა გარდინგმა წინადადება მისცა მალაროების პატრონებს და მომუშავეებს, რომლის ძალითაც მემალაროები იმუშავებენ 10 აგვისტომდე იგავე ჯამაგირით, როგორც 1 აპრილამდე, როცა მუშაობა შეჩერდა. ამ ხნის განმავლობაში მემალაროების, სინდიკატების მესაკუთრეების და აგრეთვე პრეზიდენტ გარდინგის მიერ დანიშნულ წევრების შერეული ტრიბუნალი გამოიმუშავებს სამუშაო ქირის ახალ განაკვეთს.

ანგორა და საფრანგეთი.

ბორდო. ივლისი (რადიო). ანგორის მთავრობის წევრი ფეტვი ბეი მიემგზავრება პარიზში.

ირლანდიაში.

ნაუენი. 12 ივლისი (რადიო). რესპუბლიკანელებმა დაანგრიეს რკინის გზის ნაწილი ბელფასტის და დუბლინის შუა.

ოსმალეთი და ნაციათა ლიგა.

კონსტანტინოპოლი. სომხური გაზეთი „ჯოღოვურდი ძაინი" იტყობინება, რომ კონსტანტინოპოლში დაბრუნდა დროებითი ზავის კომისიის თავმჯდომარე ეხტემ ბეი და კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის საერთაშორისო უფლების პროფესორი ჯემალ ბეი, რომელნიც წასულნი იყვნენ პრაგაში და შუამდგომლობდენ იმ სახელმწიფოების კონფერენციის წინაშე, რომელნიც არიან ნაციათა ლიგის ნამდვილი წევრები, ამ კონფერენციის შემადგენლობაში ოსმალეთის შეყვანის შესახებ. გაზეთს მოჰყავს შემდეგი განცხადება, რომელიც გაუკეთა ეხტემბეიმ, ჟურნალისტებს: „კონფერენცია გაიხსნა პრაგაში 3 ივნისს. კონფერენციაზე ჩვენი დაშვების საკითხი დადებითად იქნა გადაწყვეტილი, მიუხედავათ საბერძნეთის წარმომადგენლების პროტესტისა. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება ქონდა მიქცეული უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხს. ჩვენის მხრივ ჩვენ წარუდგინეთ კონფერენციას საჭირო ცნობები ოსმალეთში ნაციონალურ უმცირესობათა უკლებრივ მდგომარეობის შესახებ. ჩვენი განმარტებანი დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი.

ეხტემ-ბეი ფიქრობს, რომ ამ განცხადებებმა გამოარკვია ის გაუგებრობა, რომელიც არსებობდა ოსმალეთის უმცირესობასთან უფლების საკითხში.

სერჟანის დეკლარაცია.

პარიზი. გაზ. „მატენი" იტყობინება, ბანკირთა კომისიის საფრანგეთის წარმომადგენლის სერჟანის დამატებითი დეკლარაციის შესახებ, „ბანკირთა კომისიის საერთო მოხსენების გამო. ამ დეკლარმციაში სერჟანი აცხადებს, რომ მას არ შეუძლია მიემხროს იმ დასკვნებს და პროექტებს, რომელსაც მოხსენება შეიცავს. ეყრდნობა რა მრავალ დაკვირვებებს, რომელიც მან მოახდინა კომისიის მუშაობის დროს, ის ფიქრობს, რომ სესხის აღების გასაადვილებლად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შემცირება გერმანიის მიერ საფრანგეთისათვის მისაცემ ვალებისა. შეუძლებელია იმ უფლებების შემცირება, რომელიც საფრანგეთს აქვს მინიჭებული ხელშეკრულების ძალით. დასკვნაში სერჟანმა განაცხადა, რომ ბანკირთა კომისიის კომპეტენციაში არ შედიოდა გერმანიის გადახდის უნარიანობის შესწავლა და განხილვა.

პალესტინაში.

ბორდო. 12 ივლისი (რადიო). **არაბეთის დელეგაციამ, რომელიც პალესტინიდან ლონდონში ჩავიდა და ინახულა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი, განაცხადა პროტესტი მანდატის წინააღმდეგ. დელეგაციამ ამავე დროს მიმართა მოწოდებით ბრიტანეთის ხალხს.**

უცხოეთის ცხოვრება

გერმანიაში

რესპუბლიკის თავდაცვის განსაკუთრებული ზომები.

გერმანიის კონსტიტუციის მე-48 მუხლის თანახმად, გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, საზოგადოებრივი წესიერების და მშვიდობიანობის აღსადგენათ, გამოსცა განკარგულება, რომლითაც დროებით შეზღუდულია გერმანიაში სიტყვის, კრებისა და პრესის თავისუფლება.

ამ განკარგულების თანახმად, მთავრობას უფლება აქვს აკრძალოს კრებები და დემონსტრაციები და აგრეთვე დახუროს კავშირები და ორგანიზაციები იმ შემთხვევებში, როდესაც ამ უკანასკნელთა მოღვაწეობა წარმოადგენს საფრთხეს გერმანიაში რესპუბლიკანური წესწყობილების შენარჩუნებისათვის. ამ აკრძალვის დამრღვევნი ისჯებიან დაპატიმრებით 3 თვიდან 5 თვემდე და აგრეთვე 500 ათასი მარკის ჯარიმით. ასეთივე სასჯელი მოელის იმ პირებს, ვინც აქებს და იწონებს ისეთ ძალმომრეობითი ზომებს, რომელიც მიმართულია რესპუბლიკის ან მისი ყოფილი და არსებული მთავრობის წევრთა წინააღმდეგ, იმ პირებსაც, ვინც ხელს უწყობს ამ გვარ ძალმომრეობითი ზომებს ან და მოუწოდებს მის ჩადენისაკენ სხვებს, აგრეთვე იმათაც, ვინც საჯაროთ სიტყვით აყენებს შეურაცყოფას მმართველობის რესპუბლიკაიურ ფორმას, მთავრობის წევრებს, ან და კანონით დაწესებულ სახელმწიფო დროშას და დასასრულ ყველა იმ ორგანიზაციებს, რომელთაც მიზნათ აქვსთ დასახული გერმანიაში არსებული წეს-წყობილების დამხობა. ხსენებული განკარგულების აღსრულება ევალება ცენტრალურ მთავრობას და თვითეულ იმ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომელნიც შედიან გერმანიის რესპუბლიკაში. იმ შემთხვევაში თუ დაიბადა წინააღმდეგობანი ადგილობრივსა და ცენტრალურ მთავრობათა შორის, საკითხის გადაწყვეტა ენდობა რესპუბლიკის თავდაცვის სპეციალურად შედგენილ სასამართლოს ტრიბუნალს. ტრიბუნალი შესდგება 7 წევრისაგან, რომელთაც ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი; სასამართლო სტაჟი მათთვის სავალდებულო არ არის. სასამართლოს ტრიბუნალმა უნდა განიხილოს რესპუბლიკის საწინააღმდეგო ძალმომრეობითი—აქტები, პრეზიდენტის ან გერმანიის რესპუბლიკანური არსებული თუ ყოფილი მთავრობის წევრების წინააღმდეგ, აქტები, რომელიც ჩადენილი ამ განკარგულების გამოცემამდე ან მის შემდეგ. ზემო აღნიშნული სახელით ისჯებიან ის პირები, რომელნიც სცემენ—ან ავრცელებენ ბეჭვდით ისეთ ნაწარმოებს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ხსენებულ განკარგულებას.

მთავრობამ კონსტიტუციის მე-18 მუხლის ძალით აკრძალა 28 ივნისისათვის დანიშნული კრებები; დემონსტრაციები და პოლკების დღესასწაულები.

სოციალისტურ პარტიებს შორის.

მინისტრ რატენაუს მკვლელობის დღეს სწარმოებდა თათბირი დამოუკიდებლებისა და სოციალ დემოკრატებს შორის საერთო გამოსვლების შესახებ. სოციალ-დემოკრატების ორგანომ „ფორვერტსმა" თავის სასწრაფო ფურცელში გადისროლა ლოზუნგი: „ხალხო, დადექით სადარაჯოზე"! ეს ლოზუნგი იყო სწორედ შემდეგ განვითარებული ორივე სოციალისტურ პარტიების განცხადებაში. ამავე დროს ლეიპციგიდან, სადაც ეხლა სწარმოებს გერმანიის პროფესიონალურ ორგანიზაციათა ყრილობა, მოდიოდა ცნობები უჩვეულო აღელვების შესახებ და გამოთქმული იყო აზრი ერთი დღის გაფიცვის გამოცხადებისა მინისტრის დასაფლავების დღეს.

სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს გამოეყენებიათ შექმნილი მდგომარეობა ვირტის მთავრობის პოზიციის განსამტკიცებლად. მათ გაავრცელეს აზრი მთავრობის შემადგენლობაში დამოუკიდებლების შეყვანის შესახებ. ამის შესახებ სწარმოებდა არაოფიციალური მოლაპარაკებანი სოციალ-დემოკრატიული და დამოუკიდებელთა პარიტების მეთაურებს შორის. მაგრამ პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულია ასეთი რწმენა, რომ **შეუძლებელი იქნება ახალი მთავრობის შექმნა დამოუკიდებლების მონაწილეობით და რომ უკეთეს შემთხვევაში ვირტის მთავრობა შესძლებს იქონიოს მუდმივი დახმარება დამოუკიდებლებისა ისეთი კანონპროექტების გატარების დროს, რომელთა მიზანიც იქნება რესპუბლიკის თავდაცვა და ბრძოლა** რეაქციონური და ნაციონალისტური აგიტაციის წინააღმდეგ.

რეიხსტაგში.

გერმანიის რეიხსტაგმა მოანდომა რატენაუს ხსოვნის აღნიშვნასა და მისი მკვლელობის გამო შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობის განხილვას მოანდომა სამი სხდომა. სამივე ამ სხდომას ქონდა ძალიან ცხარე ხასიათი, **რომლის დროსაც სწარმოებდა განუწყვეტელი შეტაკებანი მემარცხენეებსა და უკიდურეს მემარჯვენეებს შორის.**

პირველი სხდომა.

პირველ სხდომას ქონდა მანიფესტაციის ხასიათი, იმდენათ არა რატენაუს ხსოვნის პატივსაცემლად, რამდენათაც ნაციონალისტების მეთაურის ჰელფერიხის საწინააღმდეგოთ, რომელსაც მემარცხენენი სთვლიან რატენაუს მორალურ მკვლელათ. ჰელფერიხს, რომელიც გააფრთხილა თავმჯდომარემ არ გამოცხადებულიყო სხდომაზე, მაგრამ, რომელიც, მიუხედავათ ამისა მაინც მოვიდა რეიხსტაგში, დაუყონებლივ გარს ერტყმის დიდი ჯგუფი დამოუკიდებლებისა და კომუნისტებისა. შიშობენ, რომ ოპოზიციის მეთაურს სცემენ. რეიხსკანცლერმა და რეიხსტაგის თავმჯდომარემ მაინც შეძლეს აღელვებულ მემარცხენე დეპუტატების დაწყნარება. პირველ სიტყვას რატენაუს ხსოვნის საპატივსაცემოთ ამბობს რეიხსტაგის თავმჯდომარე ლებე. იგი მიუთითებს იმ საფრთხეზე, რომელიც ემუქრება სახელმწიფოს და სამოქალაქო ომის საბედისწერო აჩრდილებზე. თავმჯდომარე მოუწოდებს დემოკრატებს და რესპუბლიკანელებს მჭიდროთ დაირაზმონ რესპუბლიკის დასაცავად. ამის შემდეგ გამოდის რეიხსკანცლერი ვირტი. ის ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ რესპუბლიკა საფრთხეშია ჩავარდნილი და ბრალს სდებს მემარჯვენეებს იმაში, რომ ისინი არ აძლევენ ქვეყანას დაწყნარების საშვალებას და თავისი უაზრო თავდასხმებით მთავრობაზე, თავისი ბრალდებებით მთავრობის მოღალატეობაზე, ქმნიან ნიადაგს ტერორის განვითარებისათვის. რეიხსკანცლერს მოყავს მოკლე ცნობები რატენაუს პოლიტიკური ცხოვრების შესახებ და სცდილობს დაახასიათოს იგი, როგორც პოლიტიკოსი-იდეალისტი, მებრძოლი ახალი იდეებისათვის და უკეთესი მომავლისათვის. სოციალ-დემოკრატებისა და დამოუკიდებლების წინადადებით რეიხსტაგი ადგენს ლებესა და ვირტის სიტყვები გაავრცელოს და გააკრას ყველგან მთელ სახელმწიფოში. ასეთ დადგენილებას პირველად იღებს გერმანიის პარლამენტი.

მეორე სხდომა.

შემდეგი სხდომა მოანდომეს პოლიტიკური მდგომარეობის განხილვას. ჯერჯერობით სხდომის დაწყებამდე ყველამ იცოდა ის განსაკუთრებული ზომები, რომელიც მიიღო მთავრობამ რესპუბლიკის დასაცავად. პარტიულ ორგანოების სიტყვებს უფრო მშვიდობიანი ხასიათი აქვს. ზოგიერთები კმაყოფილდებიან განცხადებებით თავისი პარტიის სახელით, რომელიც შეიცავს მკვლელობის გაკიცხვასა და აღნიშნავს მშვიდობიანობის დაცვისას. როცა ასეთსავე განცხადება აკეთებს ნაციონალისტების ლიდერი გერგეტი, მას შეუჩერებლივ აწყვეტინებენ სიტყვას ყვირილით: „სიცრუეა, თვალთმაქცობაა, მკვლელებო". სოციალ-დემოკრატების ფრაქციის ორატორი ველსი აღნიშნავს, რომ უმთავრესი პასუხისგება რატენაუს ტრაგიკულ მკვლელობაში ედება მათ, ვინც ვერ შესძლო რესპუბლიკანურ წესებისა და რესპუბლიკის მეთაურების დაცვა.

ველსი თავის სიტყვაში უმთავრესად ეხება გერმანიაში სასამართლოს საქმის მდგომარეობას და გერმანიის მსაჯულების შეღავათიან დამოკიდებულებას მემარჯვენე დამნაშავეთა მიმართ. ველსი მოუწოდებს მთავრობას აწარმოოს მონარქისტებისა და ნაციონალისტების წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლა.

მესამე სხდომა.

ამ სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა რეიხს-კანცლერმა ვირტმა.

რეიხსკანცლერი იწყებს თავის სიტყვას იმით, რომ მას იმედი გაუცრუვა ნაციონალისტების ლიდერის გერგეტის სიტყვამ. იგი მოელოდა იმას, რომ ნაციონალისტების მეთაური ისარგებლებდა შემთხვევით, რათა საზღვარი დაედვა წარსულისა და აწმყოს შორის და მოეწოდებინა მშვიდობიანობისაკენ ისინი, ვინც გერმანიაში მკვლელობათა ატმოსფერა შეიქმნა. კანცლერს მოყავს „ცნობილი" ბულლესი, რომელშიც ნათქვამი იყო რომ გერმანიის „მინისტრები—ანტანტის მოსამსახურენი არიან, რომელნიც ხვალ უმუშევრად დარჩებიან, თუ აღარ აასრულებენ მის მოთხოვნილებებს. მკვლელობათა ატმოსფერაში იქმნება ხალხის პოლიტიკური უღონობა და სისუსტე. ამ მდგომარეობიდან გერმანია უნდა გამოვიდეს.

რეიხსკანცლერი გადადის მუშათა მასების რესპუბლიკისადმი დამოკიდებულების დახასიათებაზე. მოაგონა რა რეიხსტაგს ლუსტგარტენის დემონსტრაცია, კანცლერი აცხადებს, რომ ეს დემონსტრაცია იყო საუკეთესო დამამტკიცებელი გერმანიის მასების წესიერებისა და დისციპლინისა. მემარჯვენეებმა არ უნდა მოიტყუონ თავი მშვიდობიანობით, რომლითაც ჩაბარდა ეს დემონსტრაციას. ამ მშვიდობიანობის ქვეშ ცეცხლის მფრქვეველი მთა იმალება. ვირტი იმეორებს იმას, რაც მან სთქვა ერცბერგის მოკვლის შემდეგ: იმ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომლის უსინდისო პროვოკაციასაც აწარმოებენ მემარჯვენეები, ჩვენ (გერმანიის მთავრობა) ვიქნებით იმ მხარეზე, საითაც იქნებიან მუშათა მასები.

გერმანიის მთავრობის მეთაური შემდეგ ამისა გადადის იმის აღნიშვნაზე, რომ ანტანტის პოლიტიკა სრულებითაც არ უწყობდა ხელს გერმანიაში დემოკრატიული რეჟიმის განმტკიცებას. ანტანტის პოლიტიკის დამახასიათებელ კლასიკურ მაგალითად ვირტს მიაჩნია გადაწყვეტილება ზემო-სილეზიის შესახებ.

მოუწოდა რა ანტანტას თავი დაენებებია ულტიმატუმების პოლიტიკისათვის და გადასულიყო რეპარაციონული საკითხის სამართლიანად გადაჭრის პოლიტიკაზე, რეიხსკანცლერი კვლავ უბრუნდება მემარჯვენე პარტიების პოლიტიკის დახასიათებას და აცხადებს, რომ მომავალი დემოკრატიას ეკუთვნის. ყველა ჭეშმარიტი დემოკრატები უნდა გაერთიანდენ მტერთან საბრძოლველად, რომელნიც ქმნიან გერმანიაში ატმოსფერას მკვლელობისას, მტრობისას და სამოქალაქო ომისას. მიუთითა რა მემარჯვენეებზე, რეიხსკანცლერმა განაცხადა: იქ არის მტერი, რომელიც შხამს ასხამს ხალხის ჭრილობებს.

რეიხსკანცლერის ამ უკანასკნელ სიტყვებს დარბაზი ხვდება ცხარე ტაშისცემით.

იუსტიციის მინისტრის რადბრუხის მოკლე განცხადების შემდეგ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს შემოიტანოს კანონ-პროექტი პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის შესახებ, სხდომა იხურება.

დეპუტატები ნელ ნელა იშლებიან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ახალციხის მაზრა.

ქურდობის ლიკვიდაცია.

ივნისის დასაწყისში ახალციხეს ეწვია „გასტროლიორები"-ს ჯგუფი, რომლებიც ეწეოდენ ქურდობას დღისით. ერთი დღის განმავლობაში აღნუსხულია 10 ქურდობა გატეხით. ქალაქის მილიციის ენერგიული მოქმედებით შესაძლებელი გახდა ქურდების ბრბოს ლიკვიდაცია. გატაცებული ნივთების დიდი ნაწილი აღმოაჩინეს და დაურიგეს პატრონებს.

ტეხნიკუმი. სახალხო განათლების განყოფილების პროექტით, რომელიც მოიწონა სამაზრო აღმასკომმა, განზრახულია ახალციხეში შემოდგომაზე ტეხნიკუმის გახსნა. სახალხო განათლების განყოფილებას დაევალა შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა და მასწავლებლების მოძებნა. განზრახულია ტეხნიკუმს დაეთმოს ერთ ერთი სახაზინო შენობა, რომელიც ეხლა უჭირავს პარტიულ სკოლას. ტეხნიკუმის

გახსნას დიდი ხანია ფიქრობდნენ და ალმასკომის ამ ნაბიჯს შეხვდნენ დიდი თანაგრძნობით.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

სამაზრო პოლიტიკურ განათლების განყოფილება სდგამს ნაბიჯებს პოლიტიკურ განათლების სკოლების ქსელის მოსაწყობად. პირველი ასეთი სკოლა გახსნილია სოფელ კლდეში, სადაც დადიან თანამგრძნობთა იაჩეიკის წევრები. კურსი სამთვიანია. მეორე სკოლა გახსნილია თვით ქალაქში პროფკავშირთა და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრთათვის. მასწავლებლების შტატი შემდგარია.

ქალაქის სკოლაში მეცადინეობა უკვე დაიწყო. მთელ რიგ სკოლების გახსნა სხვა სოფლებში შეჩერებულია საზაფხულო სამუშაოს დაბოლოვებამდე. განზრახულია პირველად გახსნას მუსულმანური სკოლა აწყურში, სადაც თემის ალმასკომი თავის თავზე კისრულობს ყველა ხარჯებს სკოლის შესანახად და უკვე მოაწყო შენობა სკოლისათვის. შენობა მოწყობილია თემის ალმასკომის საშუალებებით აგრეთვე სოფელ ვარხანში, სადაც სკოლის შენახვა იკისრა ადგილობრივმა ალმასკომმა.

დუხობორების ცხოვრება. სუსხიან ადგილებში ზღვის დონეზე 6,500 ფუტის სიმაღლეზე დაბინადრდენ აქ ყირიმიდან ნიკოლოზ 1-ის მიერ გამორეკილი დუხობორები, რომელთა ნაწილი გადასახლდა ამერიკაში. ლუკმა პურისათვის მუდმივ ბრძოლაში, ძლიერ მძიმე მდგომარეობაში დუხობორებმა შექმნეს შვენიერი მეურნეობა. მაგრამ ვერც ჰავამ, ვერც რუსეთთან დაშორებამ ვერ გარდაქმნა მათი ზნე-ჩვეულება. განსაკუთრებულ ელფერს ატარებს დუხობორებში „ქალწულების“ უქმე მაისში. მთელი სოფელი ამ დღეს წარმოადგენს ზღვას, რომელიც აფერადებულია ქუჩებში მრავლად გამოფენილ მბრწყინავ ტანისამოსებში გადაცმული ქალიშვილებით და ყმაწვილებით. სოფელს გარეთ აწყობენ სათამაშოებს, სადაც მოხუცებულებს არ უშვებენ. მთელი დღე სწარმოებს ქალიშვილების დაპატიჟება, მათ შორის დაპატიჟება ტრადიციული ერბოკვერცხით, რაზედაც ამ დღეს იხარჯება თითო სოფელში რამდენიმე ასიათასი კვერცხი.

დღის 11 საათზე ლოცვაზე იწყება ღვთის მსახურება. ფართე ოთახში, სადაც არც გალამაზება და არც ხატებია, და სადაც კიდია მხოლოდ ხელსახოცები, მწყობრი რიგებით იყრიან თავს ერთი მეორესაგან განცალკევებულად ქალები და მამაკაცები. ღვთის მსახურების წესი გამოიხატება გალობაში, რომელსაც თან ახლავს ამბორი და მუხლის მოდრეკა. ამ უკანასკნელ დროს ახალგაზრდათა შორის კომპარტიის მუშაობის გამო ემჩნევა რამდენიმედ გულგრილობა ძველი ჩვეულებისადმი. სექტანტების ცენტრში სოფელ გორელოვში დაარსდა კიდევაც თანამგრძნობთა იაჩეიკა, რომელიც თანდათან დიდდება თავისი წევრებით. ამ სოფელში ღრმა პატივს სცემენ დუხობორები სექტის დამაარსებელ წმიდა დუხობორების ხსონას.

აფხაზეთი.

სოხუმის ნავთსადგურში.

26 ივლისს შემოვიდა ბათომიდან ოდესაში მიმავალი გემი „პერეკოპ“ № 1, რომელმაც დასტოვა სოხუმში 800 ფუთი სხვა და სხვა ტვირთი და 31 მგზავრი და წაიყვანა ადგილობრივ გარნიზონის დემობილიზაციით გაშვებული 200 წითელ არმიელი.

ამავე დღეს მოვიდა: გუდაუთიდან იალქნიანი ფელიუგა „ისანი-ხუდა“ 1000 ფუთი მარილით—კერძო პირთათვის, ოჩემჩირიდან—მოტორიან იალქნიანი ხომალდი „ორიოლ“ 1000 ფუთი სიმინდით დატვირთული, რომელიც გადმოგზავნილია ტუაპსეს ნავთსადგურის სატრანზიტო მილიციის საჭიროებისათვის მოტორიან-იალქნიანი ხომალდი „ფედი-მულეტ“-ი 46 ფ. სხვადასხვა ტვირთით სოჩიდან; ტუაპსედან მოტორიან-იალქნიანი ხომალდი „გეორგი“ 180 ფ სხვადასხვა სატრანზიტო ტვირთით, ბათომის კერძო პირთათვის, მოტორიან იალქნიანი ხომალდი „ირანი“ სპარსეთის ფლაგით 10 მგზავრით ტუაპსედან; 26 ივნისს გავიდა: ტუაპსეში მოტორიან იალქნიანი ხომალდი „მოსკვიჩკა“ 940 ფ. სიმინდით დატვირთული; ოჩემჩირეში მოტორიან-იალქნიანი ხომალდი „კოოპერატორი“ ცარიელ ტომრებით დატვირთული, ფოთში მოტორიან-იალქნიანი ხომალდი „პუშკინ ნადეჟდა“ 700 ფუთ. მარილით; ტუაპსეში მოტორიან იალქნიანი ხომალდი, „შაინ-ვაქრი“ ოსმალეთის ფლაგით 122 ფ. სიმინდით, ბათომში მოტორიან-იალქნიანი ხომალდი „კიბალჩიჩი“ უტვირთოდ.

სოხუმის ნავთსადგურში. 27 ივნისს ოსმალური ფლაგით მოვიდა ფოთიდან იალქნიანი ფელიუგა „ტიუ ჯეხატი“ უტვირთოდ. ტუაფსედან მოტორიან-იალქნიანი ხომალდი „მიდიმ“ 650 ფუთი ბენზინით და მოტორიანი ხომალდი „მეზირერი“ 370 ფუთი, სხვადასხვა ტვირთით. გავიდა ტუაფსეში მოტორიანი ხომალდი „კომუნარი“ 800 ფუთი სიმინდით. ფოთში მოტორიანი ხომალდი „ალიოშა ჯაფარიძე“ 1000 ფუთი სატრანზიტო ტვირთით. ფოთში მოტორიან-იალქნიანი ხომალდი „გეროი“ 510 ფუთი სიმინდით. ტუაფსეში მოტორიან-იალქნიანი ხომალდი „ფედია“ 87 ფუთი სიმინდით და სპირტით. კოლონში მოტორიან იალქნიანი ხომალდი „როსია“. 24 ივნისს გაიარა პორტში ბათუმიდან ნოვოროსიისკში მიმავალმა გემმა „მეოტიდა“ ბარჟით მათრევზე (Буксир). გემი მუდმივად ივლის ნოვოროსიისკ ბათუმს შუა.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატი და პლანტატორების კავშირი აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე სახალხო კომისართა საბჭოს და ამიერ კავკასიის საგარეო კომისარიატის და პლანტატორების კოოპერატიულ ამხანაგობის შორის ანგარიშის გასწორების საკითხის გამო, გადასწყდა დაარსდეს კომისია, რომელსაც ევალება გამოარკვიოს ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატისა და პლანტატორების დავალიანება სახალხო კომისარიატის საბჭოსადმი და ანგარიშის გასწორების წესის გამოძებნა.

თამბაქოს ფაბრიკები. აფხაზეთის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს პრეზიდიუმმა, მოისმინა რა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დასკვნა, თამბაქოს ფაბრიკის გახსნის შესაძლებლობის შესახებ, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მაისის დადგენილების თანახმად, დაავალა სახალხო მეურნეობის საბჭოს, „ჩუბარის და რეიერის“ ფირმის განცხადების მიხედვით გამომუშაოს პირობების პროექტი, რომლითაც მიეცემა მათ თამბაქოს ფაბრიკის გახსნის ნებართვა. ამას გარდა პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო მეურნეობის საბჭოს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად გამოიმუშაოს დეკრეტის პროექტი, აფხაზეთის ტერიტორიაზე საწარმოვო დაწესებულებების (ფაბრიკის, ქარხნების და სხვა) კერძო პირების და საზოგადოებების მიერ გახსნის შესახებ.

საქონლის შეზიდვა გამოზიდვა აფხაზეთის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა აფხაზეთის სასურსათო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი წესდების პროექტი, აფხაზეთში საქონლის შეზიდვის, რესპუბლიკის საზღვრებში გადატანის და გაზიდვის უფლების ფასის შესახებ და მასთან ერთად: 1) დაავალა ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, გამოიმუშაონ რესპუბლიკიდან საქონლის და პროდუქტ. გაზიდვის პირობები, რომელიც არ არის გათვალისწინებული პროექტში, 2) დაადგინა სავსებით აიკრძალოს შინაური ცხოველების გაზიდვა (ცხენების, კამეჩების, ხარების და ძროხების), 3) ნება დართონ წვრილ საქონლის ოპერაციებზე, გაზიდვა-შემოზიდვის საერთო წესების დაცვით.

პირუტყვების სიმინდზე გადაცვლა. სასურსათო სახალხო კომისარიატის შუამდგომლობის გამო, უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ ნება დართო მას გაანაღდოს სახელმწიფო საწყობებიდან სასურსათო გადასახადით აკრეფილი სიმინდი 3-დან 5000 ფუთამდე პირუტყვებზე გუდაუთის და გაგრის მაზრებში, გუდაუთის ალმასკომთან წინასწარი შეთანხმებით.

ხოლერა. 21 ივნისს სოხუმში აღნუსხულია ხოლერის ნიშნებით დაავადმყოფების შემთხვევა ავადმყოფი იმ წუთშივე გარდაიცვალა. 23 ივნისს აღნუსხულია კიდევ 2 შემთხვევა აზიურ ხოლერით დაავადმყოფების. 2 დაავადმყოფებულთაგანი მოკვდა.

ტრანსპორტელების კონფერენცია. დამთავრდა აფხაზეთის ადგილობრივ ტრანსპორტის მუშათა კავშირის მე-2 კონფერენცია. ახალ გამგეობას მიეცა ნაკაზი, დაიცვან მჭიდრო კავშირი სამაზრო ორგანიზაციებთან. თავისუფალ წევრობის და კავშირის გაწმენდის კამპანია სცნეს დამაკმაყოფილებლად. კონფერენციამ საჭიროდ სცნო ერთიანი ტარიფის შემოღება აფხაზეთის მასშტაბით და დაავალა ახალ გამგეობას მისი ცხოვრებაში გატარება. ადგილებს არავითარ შემთხვევაში არ აქვთ უფლება გადაუხვიონ არსებულ ტარიფს, კავშირის გამგეობის თანხმობის გარეშე. კოლექტიურ ხელშეკრულების შემოღებამდე, გაგრაში, ოჩემჩირეში და გუდაუთში დარჩება 25 პროცენტით მომატებული ტარიფი, სოხუმთან შედარებით სატარიფო საკითხი დაისმება საქართველოს ტრანსპორტელების ყრილობაზე. დაადგინეს ცენტრალურ მუშათა და წითელ არმიელთა კლუბის სასარგებლოდ გადარიცხონ შემოსავლის 1 პროცენტი, დამშეულთა სასარგებლოდ 5 პროცენტი, ნაღდი ფულით და ნატურით გაატარონ ცხოვრებაში ლოზუნგი—„10 მაძღარი ჰკვებავს 1 დამშეულს“. რისთვისაც აიყვანეს თავის ხარჯზე დამშეულ ადგილებიდან 20 ბავშვი.

სოხუმი. 10 ივლისი (ტელეგრაფით).

მოსავალი. კოდორის მაზრაში სიმინდის თესვა მოთავებულია. დათესილია მშვიდობიან დროსთან შედარებით 35 პროც. მეტი. მცხოვრებლები შეუდგენ ხორბლის მოსავლის მოწევას, რომლითაც დათესილია მთელი მინდვრების 55 პროც. მოსავალი იშვიათია. მოსავალს კარგი პირი უჩანს. შარშანდელთან შედარებით დათესილია 55 პროც. და მშვიდობიან დროსთან შედარებით 35 პროცენტით მეტი. მაზრაში დაწესებულია შვიდი პუნკტი მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო სამეურნეო იარაღების დასარიგებლად. მცხოვრებლები სიამოვნებით სარგებლობენ ამ იარაღებით. განზრახულია მათი რაოდენობის 14-მდი გადიდება.

აზერბაიჯანი

ნავთის ფრონტზე. ყველა ადგილებში ამოღებულია 3 ივლისს 491,000 ფუთი. გამოხდილია 4 ივლისს 318,000 ფ. გამოხდისგან მიღებულია 316.000 ფ. გაწმენდილია 58 000 ფ. გატანილია რკინის გზით 2 და 3 ივლისს 94.000 ფ.

ამხ. ვარეიკის ავადმყოფობა. ხოლერით ავათ გახდარი ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე ვარეიკისი სავსებით გამომრთელდა ავადმყოფობისაგან.

აზნავთის სანატორიუმი. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭომ მიანდო სათეატრო განყოფილებას წინადადება მისცეს ყველა კავშირებს, რათა უკანასკნელნი გაეცნონ კავშირის წევრთა კურორტებზე გაგზავნის პირობებს და მოელაპარაკონ სამეურნეო ორგანოებს. სათეატრო განყოფილებას მიენდო გამოარკვიოს დამზღვევ საბჭოსთან ერთად ავადმყოფ მუშა მოსამსახურეთა აზნავთის სანატორიუმში გაგზავნის შესაძლებლობა სამკურნალო წყლებზე სოციალურ დაზღვევის ფონდის ხარჯზე.

მუშაობიდან გახსნა. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა მოხსნილ იქნან სამუშაოდან ყველა კავშირების ის წევრები, რომელნიც შევიდენ სამსახურში შრომის ბირჟის გარეშე. კავშირებს მიენდოთ ჩაატარონ ეს კამპანია.

კომუნალური სამსახური მაზრებში. აზერბაიჯანის სახ კომისართა საბჭოს დადგენილებით შემოღებულია კომუნალურ სამსახურის ნორმების ანაზღაურება მაზრებში. ამავე დროს წყლისა და ბინის მიმართ ფასი წესდება ადგილობრივ აღმასკომების მიერ.

ბრძოლა პროსტიტუციასთან. აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგის ამხ. ცეიტლინის თავმჯდომარეობით გაიმართა საუწყებათა შორისო კომისიის სხდომა პროსტიტუციასთან ბრძოლის საკითხის შესახებ. განხილულ იქნა დეკრეტის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს საკითხს იმ პირთათვის, რომელნიც პირადი სარგებლობისათვის აიძულებენ სხვებს მიჰყონ ხელი პროსტიტუციას, ფიზიკური ან ფსიხოლოგიურ ზეგავლენით, აგრეთვე არ უნდა იქნეს დაშვებული საროსკიპოების გახსნა, პროსტიტუციისათვის ქალების შეგროვება, მცირე წლოვანთა გარყვნა, პორნოგრაფიულ შინაარსის სურათების და წარმოდგენების დადგმა და აგრეთვე ასეთ ხასიათის ნაწარმოებების დაბეჭდვა. პროსტიტუციასთან ბრძოლის სახელმძღვანელოთ არჩეულია მუდმივი კომიტეტი. დეკრეტის პროექტში შეტანილია დამატება, რომ დაისჯებიან აგრეთვე ის პირნიც, რომელნიც ისარგებლებენ პროსტიტუტკებით.

ქრონიკა

◆ **მუშა ძალის მოძრაობა.** თბილისის შრომის ბირჟაში 22 ივლისს გატარებულია რეგისტრაციაში: 790 გამოცხადდება, მათ შორის 358 მამაკაცია, 432 ქალი, და ახალი უმუშევრები 60, მათ შორის 40 მამაკაცი და 20 ქალი. მოთხოვნილება მუშა ხელზე შემოვიდა 32 და ამის მიხედვით გაიგზავნა სამუშაოზე 29 მამაკაცი და 2 ქალი.

◆ **ტვირთის გამოზიდვის წესი.** მთელ რიგ შეკითხვების გამო, რომელიც შედის სასურს. სახ. კომისარიატში, საქართვ. საზღვრებიდან სურსათის, მანუფაქტურის და ფართო მოთხოვნილების საგნების გაზიდვის წესის შესახებ, სასურსათო კომისარიატი იტყობინებიან, რომ ბათომიდან ყველა აღნიშნულ საქონლის გაზიდვა, რომლებიც იგზავნება ტრანზიტით მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში, არა თუ აკრძალულია, არამედ ამას ხელს უწყობენ და სასურსათო სახალხო კომისარიატმა გახსნა ბათომში კანტორა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზატორებისადმი დახმარების აღმოსაჩენად, ბათომში მოსულ საქონლის გაზიდვისათვის.

◆ **სანიტარული გადასახადი.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა და წარუდგინა სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად სანიტარულ გადასახადის დეკრეტის პროექტი. პროექტის თანახმად იკრიბება განსაზღვრული პროცენტების გადარიცხვით პირდაპირი და არაპირდაპირი სახელმწიფო გადასახადიდან სანიტარული გადასახადი წესდება სპეციალურად ეპიდემიასთან და მალარიასთან ბრძოლის მიზნით.

◆ **დავალიანების ლიკვიდაცია.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა პროვინციის მოსამსახურეებისადმი სახალხო კომისარიატის დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ.

◆ **შვებულებით სარგებლობა.** იმ გარემოების მიხედვით, რომ დაწესებულებებში და წარმოებებში მუშა მოსამსახურეები სცდილობენ შვებულების მაგივრად მიიღონ ჯილდო ფულით და დარჩენ სამუშაოზე, რაც ცუდ გავლენას ახდენს მუშათა-ჯანმრთელობის დაცვაზე და მით სახელს უტეხს შვებულების მნიშვნელობას, შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების კოლეგიამ წინადადება მისცა შრომის ინსპექტორებს სასტიკი თვალყური ადევნონ, რომ მუშები არ დარჩენ უშვებულებოთ ორმაგი ხელფასის მიღების მიზნით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება ბოროტ-მოქმედებას და შვებულების შესახებ დადგენილების დარღვევას, წარმოების ადმინისტრაცია მიეცემა პასუხისგებაში შრომის დაცვის კანონის დარღვევისათვის.

◆ **ამიერ კავკასიის რკინის გზის სატყეო კომიტეტმა,** ტყიბულის რაიონის შრომის ინსპექტორის მოთხოვნილების გამო 10 პროცენტის გადარიცხვის დაუყონებლივ დამზღვევ ფონდში შეტანის შესახებ, სცნო მისი მოღვაწეობა დეზორგანიზატორულად, ხოლო შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების კოლეგიამ, ამ საკითხის განხილვის შემდეგ სცნო შრომის ინსპექტორის მთელი მოღვაწეობა სწორად და სავსებით კანონიერად.

◆ **საკონტროლო მუშაობა.** ვინაიდან ამ უკანასკნელ ხანებში შრომის ბირჟის გარეშე მუშებისა და მოსამსახურეთა მიღებამ მიიღო მასიური ხასიათი შრომის დაცვის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიის წინაშე, რათა მთელი მუშაობა მუშა-მოსამსახურეების მიღება-დათხოვნის წესებისათვის თვალყურის დევნების შესახებ გადაცემულ იქნეს შრომის ინსპექციას.

◆ **პუშკინის წიგნთ-საცავის** სამკითხველოს დარბაზში, 14 ივლისს ბასტილიის აღების დღეს, დაიწყება საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლიტერატურის გამოფენა.

დღეს თეატრებში

საზაფხულო თეატრი „არტო“—საღამო წარმოდგენა.

თეატრი „უნიონი“—კონცერტი-კაბარე.

ქართული კლუბის საზაფხულო თეატრი—კონცერტი კაბარე.

სომხური კლუბის თეატრი—კოჭდრის კაცების წარმოდგენა.

თავისუფალი თეატრი—ებრაული წარმოდგენა.

თეატრი ამირანი—კონცერტი-კაბარე.

თეატრი „არლეკინი“—მოსკოვის „ლეტუჩაია მიშ“-ის რეპერტუარის პროგრამა.

ცენტრალ. მუშათა კლუბი—მირსკის კონცერტი.

ც. მ. კ. ახალი თეატრი—კინო.

პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—კონცერტი.

ცირკი—მრავალ ფეროვანი პროგრამა.

კინო-თეატრებში

სოლეი (ყოფ. რევ. სახ. თეატრი)—პეკერის გმირი.

არფასტო—ღამის ჩრდილი.

ეთერი (სახელმწიფო ოპერის ბაღი)—კინო დრამა.

ზვეზდა (ყოფ. ალკრე)—კინო-დრამა.

ოაზისი—თეთრ-კბილებიანი ნილაბოსანი.

მუშათა ცხოვრება

ცეკავშირის მექანიკური სახელოსნო.

(კოოპერაციის ქ. № 2).

ეს სახელოსნო თუმცა საქართველოს ვითომდა გამაბედნიერებელ მენშევიკ ფედერალისტების კოოპერაციას ეკუთვნის, მაგრამ მისი ხაზეინები თავს არ იწუხებენ იმისათვის, რომ ის ტეხნიკურად და სანიტარულად სათანადოთ იყოს მოწყობილი. ამ რამდენიმე თვის წინად დაათვალიერა სახელოსნო შრომის დაცვის განყოფილებამ, აღმოაჩინა რამდენიმე დეფექტი და წინადადება მისცა გასწორებია ის. ცეკავშირმა ამაზე არ შეწუხდა თავი უსახსრობით იმართლა. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ როდესაც მუშების შრომის პირობების გაუმჯობესებას ეხება საქმე, იმათ არც ფული აქვთ და არც სხვა რამ. სახელოსნო კიდევ დაათვალიერა შრომის დაც. გან. წარმომადგენლებმა და კვლავ მისცეს წინადადება ის მაინც გააკეთოს, რისი გაკეთებაც ძვირად არ დაჯდება.

კო—ლი.

თუთუნის ფაბრიკა „კავკაზი“

თუთუნის ფაბრიკის „კავკაზის“ მუშათა მდგომარეობა მეტად მძიმეა. ხაზეინს მუშებისათვის ჯერ კიდევ მარტის თვის ფული არ მიუცია. როდესაც მუშები ამ თავის კანონიერ ხვედრ ფულს მოსთხოვენ ხაზეინი მათ პასუხად ეუბნება: ცხოვრების საშუალებას არ მაძლევთ, ფაბრიკას დაგიხურავ, თქვენ ქუჩაში გაგყრით, შიმშილით დაიხოცებით. და მართლაც ეშინიათ შიმშილით დახოცვის მუშა-ქალებს. მუშაობენ წყნარათ. პროფკავშირმა როგორც კი გაიგო ეს მდგომარეობა ფაბრიკაში, მისწერა, რომ ფული დაუყოვნებლივ მიეცათ მუშებისათვის. ხაზეინმა აიღო ეს მოწერილობა ჩაიდვა ჯიბეში და მეტი არაფერი. მოწერილობა მოწერილობათ დარჩა, ფულს მუშებს კი არავინ აძლევს. ხაზეინმა უკვე გამოიჩინა ძალა. ახლა პროფკავშირის რიგია გამოიჩინოს თავისი ძალა. ვნახოთ ვისი ძალა აჯობებს.

კოლია სტერი (ფაბრიკელი).

სახზანკომის აკინძვის სახელოსნო და სტამბა

ეს სახელოსნო იმყოფება პლეხანოვის ქუჩაზე № 50. ამას წინად გვესტუმრა შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, რომელმაც წინადადება მისცა ადმინისტრაციას ორი თვის განმავლობაში გაესწორებია შენიშნული ნაკლულევანებანი. საჭიროა ამ შენიშვნას ყურადღება მიექცეს და ის მართლაც გასწორდეს.

იქაური.

ოკას ავტო-სახელოსნო

(პლეხანოვის პრ. № 61).

ამ სახელოსნოში მუშაობა მეტად მძიმე პირობებში სწარმოებს. სახელოსნოს შენობა ტეხნიკურად ძალიან მოუწყობელია, მაგალითად მოტოციკლეტის სახელოსნო უეჭველათ ან უნდა იქნას გადატანილი სხვა შენობაში და ან აქვე ამ ადგილზე აშენდეს ახალი, თორემ მასში მუშაობა ძალიან ძნელია და მუშების ჯანმრთელობაზე დამღუპველად იმოქმედებს. აგრეთვე რემონტი სჭირია სამჭედლოსაც. საერთოდ შენობა ერთობ ვიწროა და არავითარი ნორმა არაა დაცული. სასურველია ამას ყურადღება მიაქციონ.

ია.

ჩვენმა ბავშვებმა რა დააშავეს?

(სულანოვის ფაბრიკიდან).

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ წელს მუშათა ბავშვები მრავლათ გაგზავნეს კოჯორში საგარაკოდ. ჩვენს ფაბრიკას კი ამ მხრივ სრულიად არ გაუწევია ანგარიში. სულანოვის ფაბრიკის არც ერთი მუშის შვილი არ იქნა გაგზავნილი. არ ვიცით ჩვენმა ბავშვებმა რა დააშავეს, რომ ასე დაისაჯნენ. კარგი იქნება გაგვაგებინებდნენ ამის მიზეზს.

მშრომელი.

სარგებლობა არ იქნება!

(საბჭოთა პირველი ლითონის ქარხანაში)

საბჭოთა პირველ ლითონის ქარხანაში მუშაობენ 26 მცირე წლოვანები. 4 და 6 საათის სამუშაო დღე სრულიად არ ტარდება. ადმინისტრაცია ამბობს, რომ 4 საათის მუშაობა მოუხერხებელია, ვინაიდან მცირეწლოვანი ეხმარება თავის მუშაობით დიდ მუშებს, 4 საათის მუშაობის შემოღების შემდეგ კი საჭირო იქნება კიდევ მეორე რიგის დაწესება და ზედმეტი მცირეწლოვანების ყოლა, რაც წარმოებას სარგებლობას არ მოუტანს.

ამავე ქარხანაში ფეხშიშველი მცირეწლოვანები მუშაობენ და მათ უხდებათ ფეხშიშველი გახურებულ ლითონზე სიარული. ფეხები სულ დასახიჩრებული აქვთ.

მთელ 120 კაცზე 2 გაზეთია, მაშინ როცა 10 კაცზე ერთი გაზეთი უნდა იყოს.

მოზარდი.

ამასაც სამუშაო დროს დაცვა ქვია!

(ოკას ავტო სახელოსნოები № 1)

ოკას ავტო-სახელოსნოებში № 1 მუშაობენ მცირეწლოვანები, 4 და 6 საათის სამუშაო დღე „დაცულია“, მაგრამ მუშაობა უხდებათ დილიდან საღამომდე, ვინაიდან სანარდო სამუშაოს განაკვეთი ისე დიდია, რომ მთელი დღე თუ არ იმუშავე პურის ფულს ვერ გააკეთებ.

რას შვება კავშირი, რატომ ნორმალურ განაკვეთს არ შემოიღებს?

ახალგაზრდა ხელოსანი.

არ მჯერა თუ ენფიანჯიანცის ქარხანაში ასეთები ხდება?

როგორც აცხადებს ყველა მცირეწლოვანებისათვის ენფიანჯიანცის ქარხანაში შემოკლებული სამუშაო დღე არ ტარდება: „ხან გვიშვებენ ხან არაო“—ამბობს მცირეწლოვანი მომუშავე.

ველით პასუხს საქარხნო კომიტეტისაგან მართალია თუ არა ეს.

რუსთაველელი.

რა ესაჭიროებათ ახალგაზრდა მუშებს?

ოკას ავტო სახელოსნოების ახალგაზრდა მომუშავეებმა განაცხადეს კითხვაზე, თუ რა ესაჭიროებათ მათ: „დრო, საკმაო ხელფასი და გაზეთები“.

როგორც გამოირკვა მთელი დღის მუშაობა მათ არ აძლევს საშუალებას ახალგაზრდების კლუბში წავიდნენ, კრებებს დაესწრონ, სამუშაო მათი ხელფასი გამოიხატება, 600 ათასში, რაც არ ყოფნის პურს, გაზეთებზე კი ზედმეტია ლაპარაკი. ადმინისტრაცია მათთვის გაზეთებს არ იწერს.

ს. ნ.

ნუ თუ მართალია!

(საარტილერიო საწყობის მუშათა ცხოვრებიდან)

როგორც საარტილერიო საწყობის მცირეწლოვანები აცხადებენ იქ მათთვის 4 და 6 საათის სამუშაო დღე არ ტარდება, მუშაობენ 8 საათს დიდებთან ერთად და ათრევენ 6 ფუთიან ყუთებს.

ლითონზე მომუშავე.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

აბრეშუმის პარკის რეალიზაცია.

(საუბარი სახ: სახ. კომ. აბრეშუმის პარკის ოპერაციების საგანგებო რწმუნებულ ამხ. მ. ი. დავიდოვთან).

სახალხო სასურსათო კომისარიატის საგანგებო რწმუნებულმა აბრეშუმის პარკის ოპერაციების საქმეში ამხ. მ. ი. დავიდოვმა შემდეგი ცნობები გადმოგვცა აბრეშუმის პარკის რეალიზაციის შესახებ:

სახალხო სასურსათო კომისარიატის განკარგულებაში შარშანდელ მოსავლის აბრეშუმის პარკი იყო, რომელიც უნდა გაგვენაღდებინა.

ამ პარკის გასანაღდებლად ჩვენ დავდეთ ხელშეკრულება იტალიის მოქალაქე მაიმასთან, რომელსაც 3,802 ფუთი პარკი 186,300 ოსმალურ ქაღალდის ლირად მივყიდეთ. მიღებულ ფულიდან ბაჟზე, ფრახტზე და დატვირთვაზე 10,500 ლირა დაიხარჯა. ნაყიდობის ფასი (დამზადება ავანსების გაცემა, საორგანიზაციო ხარჯები) უდრის 15,800 ლირას. ამ რიგად გაყიდულ პარკის წმინდა მოგება შეადგენს 160,000 ლირას.

გლეხ-მწარმოებლებთან დადებულ პირობის ძალით წმინდა მოგების 50 პროც. (80.000 ლირა) სახელმწიფოს შემოსავალს შეადგენს, ხოლო დანარჩენი 50 პროც. შემდეგ ნაირად ნაწილდება: 30 პროც.—გლეხებს, 10 პროც.—სარაიონო საკოოპერაციო კავშირებს, რომელთა საშუალებითაც სწარმოებდა აბრეშუმის პარკის დამზადება და 10 პროც. უნდა გადაირიცხოს საქართველოს მეაბრეშუმეობის გაუმჯობესების ფონდში. გლეხებისთვის მისაცემი ფული დარიგებულ იქნება წრევანდელ პარკის მოგროვების დამთავრების შემდეგ. 10 პროც.-იან ჯილდოს ერთი ნაწილი უკვე მიეცათ საკოოპერაციო დაწესებულებებს და მეორე ნაწილი კი გადაეცემა ცეკავშირს მათთვის დასარიგებლად; მეაბრეშუმეობის გასაუმჯობესებლად გადადებული 10 პროც. დაიხარჯება პარკის სახმობებისა და სახრჩოლავ ღუმელების შეკეთება-აღდგენაზე და მეაბრეშუმეობის სხვა საჭიროებებზე.

სახელმწიფოს შემოსავალში გადარიცხულ 80.000 ლირის ერთის ნაწილით სახალხო სასურსათო კომისარიატმა ფქვილი და შაქარი შეისყიდა, ხოლო მეორე ნაწილიდან საჭირო თანხა გადასდო მიმდინარე წლის პარკის კამპანიის ჩასატარებლად. ამასთანავე მთელი რაოდენობა ლირებისა, რომელიც გაყიდულ პარკიდან იქნა მიღებული, შეტანილი სახელმწიფო ბანკში.

ამ რიგად იმ გარემოებამ, რომ აბრეშუმის პარკი ნაღდ ფულზე გავყიდეთ, შესაძლებლობა მოგვცა, დაგვეკმაყოფილებინა გლეხები და საკოოპერაციო ორგანიზაციები და შევდგომოდით კიდეც მიმდინარე წლის პარკის კამპანიას. პარკის მოგროვება დაიწყო ამა წლის ივნისის 20-ს, რომელ დროისთვისაც საჭირო იყო ფული კამპანიის ჩასატარებლად; პარკის გაყიდვამ კი სწორედ თავის დროზე მოგვცა ეს ფული და მაშასადამე ის შესაძლებლობაც, რომ პარკის დამზადება დაგვეწყო. თუ ეს საშუალებანი დროზე არ ყოფილიყო გამონახული, წრევანდელ კამპანიას ჩაშლა მოელოდა.

მხედველობაშია მისაღები, რომ 50 პროც. იმ პარკისა, რომელიც სახალხო სასურსათო კომისარიატის განკარგულებაში იყო, გლეხებს—მწარმოებელთ ეკუთვნოდა, რომელთაც საფასური უნდა მისცემოდათ ნაღდ ფულად და ამასთანავე უახლოეს ვადაში. ეს საჭირო იყო იმიტომ, რომ გლეხთათვის მიგვეცა რეალური საბუთი იმისა, რომ სახელმწიფოსთვის ჩაბარებულ პარკში ისინი იღებენ ჯილდოს, რასაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიმდინარე კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად, ვინაიდან გლეხები იმ შემთხვევაში, როდესაც ჩაბარებულ პარკში ჯილდოს დაუბრკოლებლად იღებენ და თავის პარკს ხელსაყრელ პირობებში განაღდებულს ხედავენ, მეტის ხალისით ჰკიდებენ ხელს მეაბრეშუმეობას, თავის დროზე კი ფულის მიცემა საჭირო რესურსებს აძლევს მათ ამ საქმისთვის. სხვა მყიდველთა წინადადებებში ეს პირობები არ იყო. სახალხო სასურსათო კომისარიატი სამის თვის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას პარკის გაყიდვის შესახებ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არ იყო არც ერთი სერიოზული მყიდველი იმ შუაკაცების მხრით, რომელნიც კვლავ სცდილობენ, ჭუჭყი მოსცხონ ამ სავაჭრო ოპერაციას. ამ შუაკაცების მიერ დასახელებული მყიდველები პარკის საფასურის ნაწილს ვალიუტით იძლეოდნენ, ნაწილს კი-საქონლით და ანგარიშის გასწორების ვადას აგვიანებდნენ; ასეთის წინადადების მიღება შესაძლებლობას გვართმევდა, რომ გლეხებისთვის დროზე გაგვესწორებინა ანგარიში და გვქონოდა სახსარი უკვე დაწყებულ მიმდინარე წლის კამპანიის გასაგრძელებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქ. მაიმასთან დადებულ ხელშეკრულობის მოწინააღმდეგე ჯგუფის მიერ დასახელებული მყიდველები ნამდვილ ფანტასტიურ ფასებს გვეუბნებოდნენ, საიდანაც ნათელი იყო მთელი არასერიოზულობა მათი წინადადებებისა. ამ მყიდველთა ზერელობას ისიც საუკეთესოდ ამტკიცებს, რომ როდესაც მყიდველმა მიამამ ზოგიერთს ამ მყიდველებს უკვე ნაყიდი პარკი შეაძლია სულ 5 ლირის მოგებით ფუთზე, მათ უარი განაცხადეს.

კარგი შედეგები პარკის ნაღდ ფულზე განაღდებისა უკვე სჩანს იმ რაიონებში, რომელიც უკვე მოვიარე, ვნახე, რომ წრევანდელი კამპანია აბრეშუმის პარკის შეგროვებისა წარმატებით მიმდინარეობს. გლეხები, რომელნიც დარწმუნდნენ, რომ მათი კუთვნილი დივიდენდი უკვე გადადებულია და პარკის საფასურის მიღება უზრუნველყოფილია, ისეთის ხალისით აბარებენ აბრეშუმის პარკს, რომ დამამზადებელი კანტორები ვეღარ ასწრობენ მის მიღებას.

ჩემის წამოსვლის დროს (ივლისის 8 სთვის) ამ რაიონებში უკვე 20.000-მდე ფუთი პარკი იყო შეგროვილი და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ჩასვლამდე (ამ დღეებში მივემგზავრები) იქ შეგროვილი იქნება 30,000-მდე ფუთი.

პარკის გაყიდვა და ანგარიშის დაუყონებლივ გასწორება კიდევ ერთხელ ამტკიცებს ლათინურ თქმულების სიმართლეს: „ორჯელ მეტს აძლევს ის, ვინც აძლევს იმ წამს“.

ნათქვამის შემდეგ ნათელი ხდება, შესაძლებელი იყო თუ არა პარკის გაყიდვის გადადება თუ გინდ ერთი დღით და ან მოსახერხებელი იყო თუ არა უფულოდ პარკის კამპანიის წარმატებით ჩატარება.

ზემოთქმულს უნდა დაუმატოთ, რომ გაყიდულ პარკის გარდა სახალხო სასურსათო კომისარიატის განკარგულებაში არის კიდევ 200-მდე ფუთი აბრეშუმის ამოხვეული ძაფი შარშანდელი წლისა, რომლის გასაყიდადაც ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს მყიდველებთან; ამ აბრეშუმის რეალიზაციის შემდეგ მოგება

განაწილებული იქნება იმავე წესით, როგორითაც განაწილებულია პარკის გაყიდვიდან მიღებული მოგება; როგორც გლეხები, ისე სარაიონო საკოოპერაციო კავშირები მიიღებენ თავიანთ კუთვნილ დივიდენდს.

მეაბრეშუმეობა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოცხადებულია მონოპოლია მეაბრეშუმეობის პროდუქტებზე და მთელი მონოპოლიური უფლება ამ პროდუქტების შეგროვებისა, განაღდებისა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. სახალხო სასურსათო კომისარიატს აქვს გადაცემული, მაინც არის შემთხვევები ამ პროდუქტების შეგროვებისა კერძო პირებისა და სხვა და სხვა ორგანიზაციათა მიერ. ამიტომ სახალხო სასურსათო კომისარიატმა განკარგულება გასცა, რომ ყველა კერძო პირებისა და ორგანიზაციების აგენტები, რომელნიც სახალხო სასურსათო კომისარიატის საგანგებო ნებართვის აუღებლად აწარმოებენ ამ პროდუქტების შეგროვებას, დაუყოვნებლივ სამართალში იქნენ მიცემულნი, ხოლო შეგროვილი პროდუქტები ჩამორთმეულ იქმნეს კონფისკაციის წესით.

ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობა.

(ივნისის განმავლობაში).

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობების თანახმად ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ნავთსადგურებში (ბაქოს გამოკლებით) საზღვარ-გარეთიდან შემოტანილია 1,403,069 ფუთი საქონელი წინააღმდეგ 1,669,020 ფუთისა, რომელიც შემოტანილი იყო აპრილის განმავლობაში.

ივნისის განმავლობაში გატანილია 2,129,636 ფ., წინააღმდეგ 1,295,641 ფუთისა, რომელიც გატანილი იყო აპრილში. შემოტანილი საქონელი ნაწილდება ნავთსადგურებს შორის ამგვარად:

	ივნისი	მაისი
ბათუმი .	1,066,663	1,292,155
სოხუმი .	8,558	2943
ფოთი .	38,7843	373,922

ივნისის განმავლობაში შემოტანილია პურის ტვირთი 1,096,006, რომლიდანაც 701,611 ფუთი შემოტანილია ბათუმის ნავთსადგურით.

შაქარი შემოტანილია ივნისში 181,737 ფუთი.

	ივნისი	მაისი
ბათუმით .	442,053	307,693
სოხუმით .	10,571	6,968
ფოთით .	1,677,012	924,821.

სხვა და სხვა საქონლიდან ივნისში გატანილია შავი ქვა (ფოთიდან) 1677012 ფ., ფოთლოვანი თამბაქო (სოხუმიდან)—10571 ფ., ნაწლავები 2139 ფ., მანქანის ზეთი—356899 ფ., ნოხები—4569 ფ., ბამბა—12628 ტყავი და ბეწვეული—4640 ფ., ხიზილალა—676 ფ.

ტფილისის ბაზარზე

განწყობილება მოდუნებულია. მსხვილ სავაჭრო ოპერაციებს ერიდებიან. არის ამერიკული ფქვილის დიდი პარტიები—მოთხოვნილება ნაკლებია. უფრო გაცხოველებულია მოთხოვნილება ჰოლანდიის შაქარზე, რომლის ფასი დაეცა. ხორბლის ფასი დაბალია—მსხვილი პარტიები შეიძლება იშოვო 200 ათას. მანეთად. დაეცა აგრეთვე სიმინდის ფასიც, მაგრამ ბაზარზე იგი ძალიან ცოტაა. ჩაის ფასმა აიწია, მოელიან კიდევ მეტ აწევას. გაძვირდა მარსელის საპონი, რომელიც ბაზარზე ცოტა არის 100 კილოიანი ყუთი ფასობს 5600 მ. ძვირდება ადგილობრივი საპონიც.

მანუფაქტურის ფასი ეცემა, ბიაზი ღირს 1900 მ., მაგრამ იგი ბაზარზე ცოტაა. წინადებურად გაცხოველებულია ვაჭრობა რუსეთის მანუფაქტურით.

ბაზარზე ბევრია რუსეთის ტილო, ჩითი, სატინა—ფასები დაბალია. დიდად გავრცელდა რუსეთის და შვეციის ასანთი, ფასი საზღვარგარეთის ასანთზე ნაკლებია 100—125 პროცენტით.

თითქმის არ შეცვლილა ფასები ტეხნიკურ საგნებისა, რაც აიხსნება განსაკუთრებით ძველი მარაგის ვაჭრობით, თუმცა ბაზარზე მსხვილი პარტიებიც იშოვება: 5 ათასი დუჟინი ქლიბი სხვა და სხვა ზომისა, 20 ათასი ელექტრონის შუშა და სხვა.

არის დამზადილ ტანსაცმლის მსხვილი პარტიები (ავსტრიის). 6000 კომპლექტი შარვალ-ჟილეტი 34 მილ. ლარად კომპლექტი.

უცხოეთის ვალიუტის კურსის დაცემის გამო იკლო მოთხოვნილებამ ნედლ მასალაზე.

საქართველოს საქონლის გატანის წესი

როგორც სახელმწიფოებრივ, საზოგადო და საკოოპერაციო დაწესებულებათა, ისე კერძო პირთა საყურადღებოთ საჭიროთ მიგვაჩნია გამოვაცხადოთ, რომ ბათომიდან მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში გატანა ტრანსპორტით შემოსულ საქონლისა (სურსათისა, ფართლეულისა, ფართო მოთხოვნილების საგნებისა) არა თუ აკრძალულია, პირიქით საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ყოველმხრივ ეხმარება ზემოხსენებულ საქონლის გატანაში, რომელ მიზნითაც მან ბათომში თავისი კანტორა გახსნა.

რაც შეეხება სურსათისა, ფართლეულისა და ფართო მოთხოვნილების საგნების გატანას მთელი საქართველოს ტერიტორიიდან (ამ საქონლის გამოკლებით, რომელიც ბათომში ტრანზიტით მიდის), საბჭოთა ყველა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივს, საზოგადოებრივს და საკოოპერაციო ორგანიზაციებს უფლება აქვთ გაიტანონ ეს საქონელი სახალხო სასურსათო კომისარიატის ნებართვით. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ნებართვანი, თუ ზემოხსენებული ორგანიზაციათა ფირმას სპეკულიანტები არ ეფარებიან, ეძლევათ დაუბრკოლებლად და რაიმე გადასახადის გადაუხდელად და ამ შემთხვევაში მიზანი ერთად-ერთია: მხოლოდ აღნუსხვა და გატანის საქმის მოწესრიგება; კერძო პირებმა, ორგანიზაციებმა და კომერსანტებმა, რომელთაც სურთ ზემოხსენებულ საქონლის გატანა, უნდა მიმართონ ნებართვისათვის სახალხო სასურსატო კომისარიატს, რომელიც ნებართვას მისცემს შუამდგომლობის განხილვისა და თვითეულ შემთხვევაში გატანის პირობების განსაზღვრის შემდეგ.

ყველა ზემო თქმული არ ეხება ისეთ საქონელს, როგორიც არის აბრეშუმის პარკი, აბრეშუმი ფრიზონი და მეაბრეშუმეობის სხვა პროდუქტები და მატყლი, რომლის სახელმწიფოებრივი მონოპოლია გამოცხადებულია და რომლის შეგროვებას და რეალიზაციაც სახალხო სასურსათო კომისარიატს აქვს დავალებული. ყველა ამ სამონოპოლიო საქონლის გატანის საქმე სახალხო სასურსათო კომისარიატის ხელშია და მის დაუკითხავად ერთი ფუთი საქონლის გატანაც არ შეიძლება საქართველოს საზღვრებიდან. ამ სამონოპოლიო საქონლის გატანის ნებართვანი, რომელსაც, წინააღმდეგ არსებულ დებულებისა, სხვა სახელმწიფოებრივი ორგანოები აძლევენ, ნამდვილნი არ არიან და მათ კანონიერი ძალა არა აქვთ.

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მთიელთა რესპუბლიკაში, აგრეთვე დაღესტანისაში მოწყობილ იქნა საბაჟოები, რომლის მიზანიც არის: პირველი ის, რომ კავკასიის რესპუბლიკებით რუსეთში უბაჟოთ არ იქნეს გატანილი საქონელი და მეორე ის, რომ თვალყური ადევნონ, რამდენად სრულდება წესები საზღვარგარეთულ საქონლის შემოტანისა და რუსულ საქონლის გატანის შესახებ.

ეკონომიური ბიულეტენი

ბაქოს ბირჟა.

ბაქო. 9 ივლისი. ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი

	6 ივლისს	8 ივლისს
დოლარი	5.000.000	4.800 000
გირ. სტერ.	23 000.000	22.000.000
ფრ. ფრანკი	475.000	475 000
იტალ. ლირა	250000	250.000
ოსმ. ქაღ. ლირ.	3.700.000	3.700.000
გერ. მარკა	14500	16.000
რუს. ჩვეულ.	96	96
1922 წლ. შემოკ. 100 ათასამდე	95	95
„ „ სავალ. 10 მილ.	95	95
შემცირ. სავალ.—5000 10.000	94	94
ქართული	2300	2300
500 მან. რომ. შეკვრით	1.100.000	1.100.000
1000 მან. კერენსკის	350.000	350.000
ოქროს 10 მანეთიანი	24 800.000	24 000.000
ოსმალური ლირა ოქროს	19.500000	19.000.000
56 პრობის ნატეხი	5.000.000	5.000.000
თუმანი	3500.000	3500.000
	6 ივლისს	8 ივლისს
ვერც. მან.	1.200.000	1.200.000
ხურდა ვერცხლი 1 მან.	500000	500000

განწყობილება სუსტია.

სოხუმის ბირჟა.

სოხუმი 10 ივლისი (ტელეგრაფით) ოსმალური ოქროს ლირა—1170000. ოქროს 10 მანეთიანი 11400 0.

პარიზის ბირჟა.

პარიზი 13 ივლისი (რადიო) 12 ივლისის დახურდავება: ლონდონი 54,20. ნიუიორკი—122250. გერმანია—2,75. ბელგია—94,30. ისპანია—199,75. გოლანდია—469 50. იტალია—55,50. შვეიცარია—235,74. ფრანგული რენტა 3 პროც. — 57-74. 4 პროც.—1918 წ.—60,51. 5 პროც. 1915 წ.—74,55. 5 პროც —1920 წ.—89,30. ნაციონალური სესხი 1919 წ. 468,50. ნაციონალური სესხი 1920 წ. 479. ოსმალეთის თამბაქო—350.—ოტომანის ბანკი — 726. ჩინეთის სესხი — 1913 წლს.—750. კურსი ტოკიო—მარსელი 12 ივლისი. ბრინჯი 75. კრახმალი 160.

ჰავრი. 12 ივლისი ბამბა ივნისის—355, აგვისტოს—357, სექტემბრის—356.

ნიუიორკი. 11 ივლისი ვერცხლი—70, ხვთ. მერ. გადაგზავნა 4,4337 ნახ.

პარიზი. 12 ივლისი შაქარი—188—187 ჰავრი—12 ივლისი. ყავა ივლისი—192,25, აგვისტო—188, 25, სექტემბერი—188,76

ლონდონი.—7 ნახ. თამბაქო ნედლად—10 ნახ. ოქრო—93,35 6 ხ. ვერცხლი—35 ნახ. სპილენძი 63 თერთ. მეთორ. თუნუქი—154,524. კალა—23 შვ. მ.რ. თუთია—28 ორი მეექვს.

ბერლინის ბირჟა.

ბერლინი, 12 ივლისი (რადიო). გირ. სტერლინგი—2427,50. დოლარი—446,94.

ჰოლანდიის გულდენი—17978,50.

ლონდონის ბირჟა.

ლონდონი, 12 ივლისი (რადიო) პარიზი—54,2. ნიუიორკი—4,494. ბრიუსელი—57. ჟენევა—23,155 ამსტერდამი—11,46. მილანი—98,875. ბერლინი—1965. სტოკჰოლმი—1715. კოპენჰაგენი—20,625. ქრისტიანია—26075. ვენა—108000. პრაგა—192,5. ჰელსინგფორსი—201. მადრიდი—28,51. ლისაბონი—3 ერ.მერ.ბომბეი—1 შილ. 220 | 32 პენსი. შანხაი—3 შილინგი 6 პენსი 3 ფარტ. ვერცხლი—35—55.

პარტიული ცხოვრება

მარტვილის რაიონი

(სენაკის მაზრა)

ამა წლის 30 ივნისს როკომის მიერ იქნა მოწვეული თემკომის და იაჩეიკების მდივნები (რაიონის მაშტაბით) პარტ აღმშენებლობის საკითხების განსახილველად და ადგილებიდან მუშაობის ჯამის გასაკეთებლად. 1-ლი საკითხის—პარტ აღმშენებლობის შესახებ მოხსენებას აკეთებს რაიკომის მდივანი ამხ. ი. მონიავა, რომელმაც გააშუქა მე 11 ყრილობის მთავარი დადგენილებები პარტ-აღმშენებლობის შესახებ. მეორე საკითხის—ადგილებიდან მუშაობის შესახებ გამოირკვა, რომ 50 პროც. კომ-უჯრედებში სწარმოებს სისტემატიური პარტ მუშაობა; დანარჩენი 50 პროც.-ში კი სუსტათ, რაც უნდა მიეწეროს გამოცდილ პარტ-მუშაკების ჯარში გაწვევას და მასთან იმ ეკონომიურ კრიზისს და უსახსრობას, რასაც განიცდიან კომუნისტები (როგორც ულარიბესი და ღარიბი გლეხები) შიმშილობის ნიადაგზე მარტვილის რაიონში (როგორც დამშეული რაიონი). საჭიროა ამ ორ მთავ. მხარეს მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, რომ უზრუნველი ვყოთ მომავალში ჩვენი პარტ აღმშენებლობა.

ი. მონიავა.

გორი

4 ივლისს შესდგა გორის გაერთიანებულ კომუჯრედის მორიგი კრება. სხვა საკითხთა შორის მოხსენება გააკეთა ამხ. მდივანმა რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე 11 ყრილობის შესახებ. მან ვრცლად განუმარტა ამხანაგებს ის ამოცანები, რომელიც ჰქონდა დასახული ყრილობას და გააცნო ყრილობის რეზოლიუციებს. მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია, რაზედაც ამხ. მომხსენებელმა ვრცელი პასუხი გასცა.

ბ.

პროვინციაში

სვანეთი.

ძველი რეჟიმის დროს უკიდურეს მდგომარეობას განიცდიდა ქალთა წრე. მათ საშუალება არ ეძლეოდათ ცოტაოდენი მაინც გავითარება მიეღოთ, რომ თავი დაეღწიათ სიბნელიდან. ხაზ გასმით უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთის მაზრაში—ქალები ასრულებენ მამაკაცების საქმეს. მაგ. რომელიცაა მკა-თოხნა ლეწვა, ამასთან ოჯახიც მათ თავზეა შემოხვეული. ამის გამო მათ არავითარი საშუალება არ ეძლევათ საზოგადო საქმეებში მონაწილეობა მიიღონ, მთელ სვანეთის მაზრაში იშვიათად გამოვა ისეთი ქალი, რომელიც გათვითცნობიერებისაკენ მისწრაფვებოდეს. ეს გარემოება სრულებით არ გამოუკვლევია ძველი რეჟიმის მოადგილეს, მენშევიკურ მთავრობას. წინ, მხოლოდ გაგზავნა სვანეთში კომისარი ბატონი ე. გაბლიანი, რომელიც თავის სასარგებლოდ ასრულებდა ყოველივე საქმეებს.

გამოიცვალა დრო, გამოცხადდა **საბჭოთა** ხელის უფლება. სვანეთის ქალებიც შეუდგენ ცოტა თუ ბევრად მუშაობას, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, რომ საკმაოდ ვერ იმუშაონ ხსენებული პირობების გამო. მათში მოინახება ორიოდე პირი ვითომც შეგნებული, მაგრამ ისეთი შეგნება მაინც არა აქვთ ქალებში აგიტაციას და პროპაგანდას მიყოს ხელი და თვალწინ დაუყენოს მათ, რომ ძველი ყოფილი მთავრობების დროს ისინი არაფერს არ წარმოადგენდენ და ვერც რას აკეთებდენ ბატონების სამსახურის მეტს.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ასეთ ჩამორჩენილ ქალთა მასას და ცენტრიდან იგზავნებოდეს მაზრაში მცოდნე პირი ქალთა განყოფილების დასაარსებლად, მაგრამ არა ისეთი პირები, რომელნიც შარშან მოვიდენ სვანეთში და არავითარი ნაყოფი მათ მოსვლას არ გამოუღია. მათი შეპირება ქალებისადმი მხოლოდ სიტყვათ დარჩა ჯერჯერობით. ახლა ველოდებით იმ სიტყვების განხორციელებას საბჭოთა ხელის უფლებისაგან. საჭიროდ მიმაჩნია სვანეთიდან ერთი ქალი გამოიგზავნოს ცენტრში, სკოლაში, რომელიც იხსნება 1 სექტემბერს.

სვანი მუშა **პ. მარგიანი.**

გორი.

კულტურული მუშაობის სათანადო საფეხურზე დასაყენებლად ქ. გორში საჭიროა მეტად ენერგიული ზომები, ვინაიდან ეს მუშაობა დაქვეითებულია. ამ ჟამად შემდგარია დროებითი გამგეობა მუშათა კლუბისა, რომელსაც მიზნად აქვს გამოაცოცხლოს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. აღმასკომის მიერ გამგეობას გადაეცა კლუბისათვის საჭირო შენობა, კინო აპარატი და სხვა. მიღებულია ზომები შენობის შესაკეთებლად და შემოდგომისათვის გორის მუშა მოსამსახურეთ აუცილებლად ექნებათ შეძლებისდაგვარად მოწყობილი კლუბი. ადგილობრივი ორგანოები ყოველგვარ დახმარებას უწევენ გამგეობას. საჭიროა ცენტრმა მიაქციოს ყურადღება ამ ახალ ორგანიზაციას და გაუწიოს სათანადო მატერიალური დახმარება. კლუბს განსაკუთრებით ესაჭიროება სცენის ხელსაწყო, დეკორაციები და სხვა.

17 ივლისს განზრახულია გამართულ იქმნას საიუბილეო საღამო ამხ. აზიანის (დონდაროვის), რომელსაც შეუსრულდა 25 წელი სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობისა.

ბ.

ლეჩხუმი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მაზრაში თითქმის მესამედი ნაწილი მთელი მცხოვრებლებისა წერა-კითხვის უცოდინარებს ეკუთვნის და ამ უვიცობის გამო მათ საშუალება არ ეძლევათ გაეცნონ მიმდინარე ცხოვრებას და საერთოდ პოლიტიკურ მდგომარეობას. თუმცა ამ მაზრაში 4—5 მდე სკოლაც გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარებისთვის, მაგრამ ეს რიცხვი ძალიან ცოტაა, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ წერა-კითხვის უცოდინართა წრე მომწიფებულ ელემენტებს წარმოადგენენ, ისინი თითქმის ნახევარზე მეტი ხნოვანებაში არიან შესული და, როგორც მოგეხსენებათ ძველების ამბავი, ბევრად არ მოსწონთ ეს მოქმედება, და ხშირად გაისმის ხმა მათგან, რაღა დროს ჩვენი სკოლაში სიარულია, ჩვენ რომ წერა კითხვას ვისწავლით, მაშინ ჩვენი ძველები მიწიდან ამოვლენო. ყველა ამაებს ისინი შეუგნებლობით აღიარებენ, თორემ მათში რომ ცოტა მაინც განვითარება იყოს, ამას დიახაც არ იტყვიან და, პირიქით დიდის მოწიწებით შეხვდებიან ამ საქმეს.

საჭიროა მედგარი ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ. საჭიროა ფართე აგიტაცია და პროპაგანდა იმ ელემენტებში, რომლებიც წერა-კითხვის უცოდინარნი არიან.

იულია ყრუაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

შრომის სახალხო კომისარიატის სავალდებულო დადგენილება № 16.

სამრეწველო ხასიათის შენობების ასაგების პროექტების დამტკიცების წესის შესახებ.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილების ძალით (1922 წ. 22 ივნ. № 31) შესახებ, „სამრეწველო ხასიათის შენობების ასაგები პროექტების დამტკიცების წესისა“, მისი დარღვევის გახშირების გამო, შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ:

1. როგორც სამრეწველო ხასიათის, ისე წარმოებებთან არსებულ დამატებითი დაწესებულებების (აბანო, სასადილო, სკოლა, მუშათა საცხოვრებელი ბინა და სხვა) ახალი შენობის აგების ყველა პროექტი, აგრეთვე კაპიტალური რემონტის, შეკეთებისა, გადაკეთების და ერთი სადგომიდან მეორეში გადატანის პროექტი, გარდა იმისა, რომ უნდა დამტკიცებულ იქნის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის კომიტეტისაგან და აგებისა და რემონტის საქმეების გამგეზელ სხვა დაწესებულებისაგან, მას იხილავს აგრეთვე შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება და ან მისი ადგილობრივი ორგანოები, იმისდამიხედვით, თუ სად აგებენ, განსაკუთრებულ დიდს და განსაკუთრებულ მნიშვნელობის შენობების გარდა, რომლის პროექტსაც უშუალოდ იხილავს შ. ს. კ. შრომის დაცვის განყოფილება.

2. არც ერთი შენობის აგება, კაპიტალური რემონტის გაკეთება და სხვა არ შეიძლება დაწყებულ იქნას შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების დაუმტკიცებლად, ჰეგიენისა და შრომის დატეხნიკურ უვნებლობის მხრივ.

3. საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის ზემოდ აღნიშნულ დადგენილების (1922 წ. 22 ივნის.) დამრღვევნი მიეცემიან პასუხისგებაში, როგორც შრომის კანონის დამრღვევნი.

4. ეს დადგენილება ვრცელდება როგორც კერძო, ისე სახელმწიფოებრივ და წესებულება-წარმოებებზე.

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **ა. მიქაძე.**

შ. ს. კ. შრომის დაცვის განყ. გამგე **ხ. გოდაბრელიძე.**

ტეხნიკურ სექციის გამგე ინჟ. **მანევსკი.**

დადგენილება № 38.

საქართვ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამსახურის საქმის გამო მივლინებულთა რეგისტრაციისათვის 47 №-ით გამოცემული დადგენილების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოს რესპ რევოლიუციონური კომიტეტის მიერ—სამსახურის საქმის გამო მივლინებულთა რეგისტრაციისათვის № 47-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აღნიშნული დადგენილების 1, 2, 4 და 6 მუხლი შეიცვალოს შემდეგ ნაირად:

მუხლი 1,—საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ყველა დაწესებულების თანამშრომელნი, სამსახურის გამო თბილისში ჩამოსულნი, მოვალენი არიან თბილისში ჩამოსვლისთანავე, არა უგვიანეს 24 საათისა, გამოცხადდნენ სარეგისტრაციოთ იმ სახალხო კომისარიატში, რომელსაც ექვემდებარება დაწესებულება, სადაც თანამშრომელი მსახურებს, და წარადგინონ თავიანთი საბუთები ვიზის მისაღებად (სარეგისტრაციოდ), ასევე უნდა მოიქცნენ ისინი თავიანთი სამსახურის ადგილზე უკან დაბრუნებისას.

მუხლი 2,—ამრიგადვე ის პირნი, რომელნიც სამსახურის გამო მივლინებულნი იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და ადგილებში, მოვალენი არიან იმავე ვადის განმავლობაში (მუხ. 1) რეგისტრაციის წესით აღინიშნონ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტში.

მუხლი 4,—საბჭოთა ცენტრალურ დაწესებულებათა მიერ მივლინებულ პირთ მე 3 მუხლში აღნიშნული მოწმობანი უნდა ჰქონდეთ სათანადო სახალხო კომისარის ან მისი მოადგილის და აგრეთვე საქმეთა მმართველის (ან მდივნის) ხელმოწერილი, და ეს მოწმობანი აუცილებლად გატარებულ უნდა იქნენ სათანადო კომისარიატის რეგისტრაციაში.

მუხლი 6,—ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალებათ შემოიღონ ყოველდღიური აღნუსხვა (რეგისტრაცია) სამსახურის გამო მომსვლელ და წამსვლელ პირთა და ყოველკვირა წარუდგინონ ამ სარეგისტრაციო აღნუსხვის ამონაწერი სათანადო სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 13.

თბილისი-სასახლე.

სარედაქციო კოლეგია

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
(25—9)

ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში (ოთახი № 10) 15 ივლისს დღის 12 საათზე გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

ქვემო დასახელებულ სასტუმროების იჯარით გასაცემად.

1.	ელიზავეტპოლი	ვორონცოვის ქ. № 21
2.	შემახა	19 თებერ. ქ. № 54.
3.	ავრორა	პლეხანოვის ქ. № 5.
4.	ახუნდოვის ნომრები	ვორონცოვის ქ. № 35.
5.	კარაბახი	აბანოს ქ. № 4.
6.	აზერბეიჯანი	ვორონცოვის ქ. № 24.
7.	ბორჯომი	19 თებერვლის ქ. № 93.
8.	სამტრედია	სამჭედლოს ქ. № 2.
9.	ირანი	ვორონცოვის ქ. 26.
10.	კომერციული ნომრები	ირაკლის ქ. № 8.

თბილისის სამოქალაქო სასაკლაოებში

ამ დღეებში ამუშავებულ იქნება

მშვენივრად მოწყობილი საციებელი

(საყინულე) შესანახავად. ყოველ გვარ ადვილად გასაფუჭებელ სანოვაგისა, როგორიც არის: ხორცი, თევზი, ერბო, კარაქი. კვერცხი, ხილი და სხვა.

ვისაც სურს გაეცნონ იჯარის პირობებს, აგრეთვე აიღონ იჯარით უჯრები საციებლებისა—საჭიროა მისცენ წერილობითი განცხადება სასაკლაოების დირექტორს (ნავთლუღი), ან წარმოებათა განყოფილების კანცელარიაში (აღმასკომი, ოთახი № 41).

იქვე იყიდება **ყ ი ნ უ ლ ი:** ადგილობრივ ფუთი 30.000 მანეთი, მიტანით 45.000 მანეთი.

ყინულის შეძენის მსურველები აძლევენ განცხადებას, სასაკლაოების კანცელარიაში (ტელეფ. № 8—66).

თბილისის სამოქალაქო სასაკლაოების დირექტორი: **დვორაკოვსკი.**

(3—2)

დადგენილება

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ურთიერთ შორის ანგარიშების მოწესრიგების შესახებ.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამო, ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადო დაწესებულებანი გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშებზე. ამისათვის სწორი ანგარიშების მისაცემად სამეურნეო ორგანოების მოღვაწეობაზე თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი საჭიროდ თვლის, ოცი დღის განმავლობაში, დღიდან ამ დადგენილების გამოცხადებისა, მოაწესრიგოს ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებთან საურთიერთო ანგარიშები ამ წლის პირველ იანვრიდან პირველ ივნისამდე აღმასკომის კომუნალურ და საფინანსო განყოფილებათა საშუალებით.

ყოველ გვარი ანგარიშები და პრეტენზიები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რომელთაც არ ექნებათ მოწესრიგებული დანიშნულ ვადაზე ანგარიშები, დატოვებული იქნებიან უყურადღებოთ.

ხოლო ამა წლის პირველ ივნისიდან თბილისის აღმასკომის ორგანოებმა თავისი მუშაობა უნდა აწარმოვონ დაინტერესებულ მხარეებთან კონტოკორენტიულ ანგარიშების გასწორებით ნაღდ ფულზე და არავითარი ჩარიცხვა-გადარიცხვა ორგანოების ანგარიშებისა, თუნდაც ერთ და იგივე დაწესებულებებში, დაშვებულა არ იქნება.

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**

კომუნ. განყოფილების გამგე **ი. წიგწივაძე.**

(3—3) საფინანსო განყოფილების გამგე **თ. ღლონტი.**

ვამზადებ მათემატიკურ
საგნებში: არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრიაში, აგრეთვე მე-V, VI კლასში შესასვლელად. საერთო განათლების კურსებზე, ტეხნიკუმში და პოლიტეხნ. ინსტიტუტში—მიხაილოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 5. ნახვა 9—12 საათამდე და 3—6 ს. ბინა მაჩაიძისა.
(2—1)

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი

(ЗАКВНЕШТОРГ)

იღებს რა მონაწილეობას ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკაზე (1 აგვისტოდან—15 სექტემბრამდე), აცნობებს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო კომერსანტებს, რომელთაც სურს მონაწილეობა მიიღონ იარმუკაზე თავისი საქონლით, რომ იგი კისრულობს ამ საქონლის გადაგზავნას შეღავათიანს, საკომისიო პირობებში თავისი მარშრუტებით.

ცნობებისათვის მსურველთ უნდა მიმართონ ყოველ დღე (უქმეებს გარდა) დღის 12—3 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე ზაკვნეშტორგის ნიჟეგოროდის იარმუკაზე მონაწილეობისათვის არსებულ დროებით ბიუროში (ბარიატინსკის ქ. № 6, ზაკვნეშტორგის სავაჭრო განყოფილების ბინა) ბიუროს თავმჯდომარეს ტ. ს. მელიქოვს ან მის მოადგილეს ნ. ლ. კოვალევსკის. ქალაქ გარეშეთ სთხოვენ მიჰმართონ ზაკვნეშტორგის სათანადო განყოფილებას ადგილობრივ.

ა. კ ს. ს. რ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი.

ქ. ტფილისის მე-5 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ 25 იანვარს 1917 წ. ვარვარა ბაბაიან ბაბაიანცის ქონებაზე, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება აღნიშნულ ქონებაზე ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

(1—1) სახალხო მოსამართლე: **მ. კობიაშვილი.**

ქ. თბილისის მე-9 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს გარდაცვალებულ კარაპეტ სვიმონის ძე მარტიროსოვის მემკვიდრეებს რათა განაცხადონ მათ ამ პუბლიკაციის გამოქვეყნების დღიდან ორი თვის ვადაზედ თავიანთი უფლებანი ხსენებულ გარდაცვალებულის დარჩენილ ქონებაზედ. (1—1)

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.